პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის ქ-ის და ცაკის ორგანო

№ 265 (5066) | კვირა, 21 ნოემბერი 1937 წ. | ფასი 10 კაპ.

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი:

სოციალისტური მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის („პრავდის" მოწინავე).

წერილი ამხანაგ სტალინს სტალინის რაიონის საწარმოთა სტახანოველების კრებისაგან (1-ლი გვ.).

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება პირუტყვის სრულიად-საკავშირო აღწერის შესახებ (1-ლი გვ.).

სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმში (1-ლი გვ.).

ბორჩალოს რაიონმა შეასრულა ნედლი ბამბის ჩაბარების წლიური გეგმა (1-ლი გვ.).

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები:
ვასილ იაკობის-ძე ეგნატაშვილი.
შალვა ნიკოლოზის-ძე დადიანი.
ისმაილ ხასანის-ძე ფუტკარაძე.

ს. იორდანიშვილი — „ვეფხისტყაოსნის" თარგმანები ევროპულ ენებზე (მე-3 გვ.).

უცხოეთში:
ესპანეთის ფრონტებზე (1-ლი გვ.).
ურიბეს გამოსვლა ესპანეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე (1-ლი გვ.).
საომარი მოქმედება ჩინეთში (მე-4 გვ.).

სოციალისტური მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის!

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური სასოფლო მეურნეობის უდიდესი წარმატებები ცნობილია მთელი მსოფლიოსთვის. ეს წარმატებანი აღტაცებას იწვევენ ჩვენს მეგობრებში, გაოცებასა და გაბოროტებას— ჩვენს მტრებში. ჩვენს სასოფლო მეურნეობაში არ არის არცერთი ისეთი დარგი, რომელიც ამჟამად მძაფრი აღმავლობის ხანას არ განიცდიდეს. მიწათმოქმედება საბჭოთა კავშირში ერთიორად მეტ პროდუქციას იძლევა, ვიდრე ომის წინა დროს იძლეოდა.

წელს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე აღებულია 6 მილიარდი და 800 მილიონი ფუთი პურეული—მოსავალი, როგორსაც მეფის რუსეთი უაღრესად მოსავლიან წლებშიც კი არ მოსწრებია. ბამბის პროდუქციის ოდენობის მხრივ სსრ კავშირს პირველი ადგილი უჭირავს ევროპის ქვეყნებს შორის და მესამე ადგილი მსოფლიოში. შაქრის ჭარხლის და სელის პროდუქციის ოდენობის მხრივ სსრ კავშირი წინ უსწრებს ყველა კაპიტალისტურ ქვეყანას და პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში.

მძაფრი აღმავლობის ხანას განიცდის ჩვენი მეურნეობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგიც, როგორიცაა მეცხოველეობა, რომელიც ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა.

მიმდინარე წლის დასაწყისისათვის ყველა კოლმეურნეობის 95,7 პროცენტს ჰქონდა მეცხოველეობის სასაქონლო ფერმები. სულ ხუთი წლის წინათ საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებში იყო 5.400 ათასი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 2.100 ათასი ღორი, 1.600 ათასი ცხვარი და თხა. მიმდინარე წლის დასაწყისისათვის კი საკოლმეურნეო ფერმებში უკვე იყო 12 მილიონი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 5 მილიონი 300 ათასი ღორი, 18.700 ათასი ცხვარი და თხა. რა გიგანტური ზრდაა! მეცხოველეობის აღმავლობის რა არნახული ტემპებია!

განსაზოგადოებული პირუტყვის გამრავლებასთან ერთად გიგანტურად გადიდდა კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში მყოფი პირუტყვის რაოდენობაც. საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების მიერ და კონტრაქტაციით ოთხი წლის განმავლობაში (1933—1936 წლებში) შეღავათიან ფასად კრედიტის მიცემით კოლმეურნეებს მიეყიდა თითქმის 5 მილიონი ძროხა და დეკეული, თითქმის 11 მილიონი ღორი და გოჭი და 3 მილიონი 237 ათასი ცხვარი და ბატკანი!

მძაფრი აღმავლობის ხანას განიცდის მეცხოველეობის დარგი ჩვენს საბჭოთა მეურნეობებშიც. 1936 წლის 1 ივლისისათვის არსებული ცნობები გვიჩვენებენ, რომ საბჭოთა მეურნეობებში იყო 5 მილიონზე მეტი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, თითქმის 5 მილიონი ღორი და დაახლოებით 11 მილიონი ცხვარი და თხა. საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის სასაქონლო პროდუქციის რაოდენობა უკანასკნელი წლების განმავლობაში ბევრად გაიზარდა.

მეცხოველეობის განვითარების ყველა ეს უდიდესი წარმატება არის მთლიანად აღებული ჩვენი სასოფლო მეურნეობის და კერძოდ მეცხოველეობის დარგის სოციალისტური რეკონსტრუქციის შედეგი. მეცხოველეობის განვითარების წარმატებანი მიღწეულია უსასტიკეს ბრძოლაში კლასობრივ მტრებთან—ტროცკისტ-ბუხარინელ მავნებლებთან და ჯაშუშებთან — საბჭოთა ხალხის მტრებთან. პირუტყვის ეპიდემიების გავრცელებით, უძვირფასესი ჯიშებისა და მოზარდეულის მოსპობით და მთელი რიგი სხვა საზიზღარი, მავნებლური მოქმედებებით მტრები ცდილობდნენ ზიანი მიეყენებინათ სოციალისტური მეცხოველეობისათვის. არ გამოუვიდათ! მტერი ძლეულ იქნა ჩვენი მეურნეობის ამ უბანზედაც. მილიონობით კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ირგვლივ შემჭიდროებულებმა, ამხილეს საზიზღარი მტრების ხრიკები და განაგრძობენ მათ მხილებას. სოციალისტური მეცხოველეობა ძლევამოსილად მიიწევს წინ.

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებას **„პირუტყვის სრულიად-საკავშირო აღწერის შესახებ 1938 წლის 1 იანვრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით"**. პირუტყვის აღწერა ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად ტარდება და წარმოადგენს ერთერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას მეცხოველეობის განვითარებაში. აღწერათა მონაცემები საშუალებას გვაძლევენ ზუსტად გამოვარკვიოთ, თუ როგორ სრულდება სახელმწიფო გეგმა, და განვსაზღვროთ გამოსავალი მაჩვენებლები მეცხოველეობის განვითარების შემდგომი გეგმის დასასახავად. აღწერას, რომელიც ჩატარდება 1938 წლის 1-დან 8 იანვრამდე, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მან უნდა შეაჯამოს მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგი და მოგვცეს ძირითადი მასალები მესამე ხუთწლედში მეცხოველეობის განვითარების გეგმის შესადგენად.

აქედან გასაგებია, თუ რა დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ მომავალ აღწერას ადგილობრივმა საბჭოთა და პარტიულმა ორგანიზაციებმა, უწინარეს ყოვლისა კი—სამიწათმოქმედო ორგანოებმა. კავშირის სახკომსაბჭომ დაავალა სსრ კავშირის მიწსახკომს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს და სხვა უწყებებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც მეცხოველეობის მეურნეობები აქვთ, სახელმწიფო და კოოპერატიულ მეურნეობათა დირექტორებს, აგრეთვე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს ჩაატარონ და აღწერის დასაწყისისათვის დაამთავრონ პირუტყვის ინვენტარიზაცია. ინვენტარიზაცია განსაკუთრებით გულდასმით უნდა ჩატარდეს. სახელმწიფო და კოოპერატიულ მეურნეობათა დირექტორები და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები ვალდებული არიან აღწერის მოსახდენად მისულ რეგისტრატორებს მისცენ ზუსტი და პირადად მათ მიერ შემოწმებული ცნობები პირუტყვის რაოდენობის შესახებ.

აღწერისათვის მზადება დღეიდანვე ფართოდ უნდა გაიშალოს ყველგან. სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს, საბჭოების აღმასკომებისა და პარტიული ორგანიზაციების პირველი საზრუნავია შეარჩიონ მომავალ აღმრიცხველთა ასიათასიანი არმია. თვითეული ამ აღმრიცხველთაგანი პერსონალურად უნდა დაამტკიცოს რაიაღმასკომმა ან ქალაქის საბჭომ. ინტელიგენციის კადრები სოფლად ახლა საკმაოდ დიდია. თვითეულ რაიონში 30—40 აღმრიცხველის შერჩევა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. უნდა ვეცადოთ იმას, რომ ამ სამუშაოზე გაიგზავნონ პოლიტიკურად და საქმიანობის მხრივ შემოწმებული ადამიანები, რომელთაც ესმით მთელი პასუხისმგებლობა მინდობილი სამუშაოსათვის და ის დიდი ნდობა, რასაც მათდამი იჩენენ.

აღწერის მნიშვნელობა და ამოცანები ფართოდ უნდა განემარტოს მოსახლეობას. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უნდა მოეწყოს აქტივისტთა ჯგუფები. რომლებიც დაგვეხმარებიან აღწერის სანიმუშოდ ჩატარებაში.

მთელი ჩვენი ქვეყანა ამჟამად განიცდის სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების შესანიშნავ დღეებს. არჩევნებისათვის მზადებამ ქალაქად და სოფლად გამოიწვია ხალხის მასების საწარმოო აქტივობის გიგანტური ტალღა. კოლმეურნეთა აზრები და ფიქრები ამჟამად იქით არის მიპყრობილი, რომ კიდევ უფრო აამაღლონ სოციალისტური სასოფლო მეურნეობა, კიდევ უფრო გაამრავლონ სოციალიზმის გამარჯვებანი. ყოველ ახალ ღონისძიებას, რომელიც ამას ეხმარება, მილიონობით კოლმეურნეები და კოლმეურნე-ქალები ერთსულოვანი მოწონებით ხვდებიან. ადგილობრივი ხელმძღვანელების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველჰყონ მომავალი აღწერის საუკეთესოდ ჩატარება.

„პრავდის" მოწინავე, 20/XI.

ბორჩალოს რაიონმა შეასრულა ნედლი ბამბის ჩაბარების წლიური გეგმა

ბორჩალო, 20 ნოემბერი (საქდესი). ბორჩალოს რაიონმა 100,5 პროცენტით შეასრულა ნედლი ბამბის ჩაბარების წლიური გეგმა. გეგმა შესრულებულია როგორც მებამბე კოლმეურნეობების, ისე ერთპიროვნულ მეურნეების მიერ.

მინდორში არის კიდევ დიდძალი ბამბის კოლოფები; რაიონში გრძელდება ბამბის კრეფა და ჩაბარება.

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-გერმანიისა და ინგლის-საბჭოთა კავშირის საზღვაო შეთანხმებანი ძალაში შევიდნენ 4 ნოემბრიდან

ჟენევა, 20 ნოემბერი (საკდესი). ერთა ლიგის სამდივნომ შეიარაღების შემცირების კონფერენციის წევრებს აცნობა, რომ ინგლის-გერმანიისა და ინგლის-საბჭოთა კავშირის საზღვაო შეთანხმებანი ძალაში შევიდნენ 4 ნოემბრიდან. ორივე შეთანხმება, ინგლისის მოთხოვნით, დარეგისტრირებული იქნება ერთა ლიგაში.

წერილი ამხანაგ სტალინს

სტალინის რაიონის საწარმოთა სტახანოველების კრებისაგან

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი— ამხანაგ სტალინს

ბრძენ ბელადს, მასწავლებელსა და ყველა მშრომელთა მეგობარს — თქვენ, ამხანაგო **სტალინ,** ჩვენ, იმ რაიონის სტახანოველები, რომელიც თქვენს სახელს ატარებს, გითვლით სიყვარულის პირველ სიტყვას, ჩვენს მხურვალე, პროლეტარულ სალამს!

ჩვენ შევიკრიბეთ ჩვენს რაიონულ კრებაზე, რათა ღირსეულად აღვნიშნოთ ის უდიდესი პატივი და ნდობა, რაც ჩვენ,—სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთ—მოგვენიჭა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თქვენ მიერ, ამხანაგო **სტალინ,** რომელიც დასთანხმდით კენჭი იყაროთ ჩვენს საარჩევნო ოლქში.

უზომოდ ბედნიერნი ვართ ჩვენთვის გამოცხადებული ნდობით და ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ვუპასუხოთ ამას ენერგიული, სტახანოვური მუშაობით.

მშობლიურო იოსებ ბესარიონის-ძევ, თქვენ, დიდ სოციალისტურ გამარჯვებათა სულისჩამდგმელს, თქვენ, რომელიც საკუთარი ხელით სჭედდით, წარმართავდით და აწყობდით სტახანოვურ მოძრაობას, შემოგფიცავთ, რომ მთელს ჩვენს ძალ-ღონეს, მთელს ჩვენს რევოლუციურ აღგზნებას, მთელს ჩვენს უნარს მოვახმართ იმას, რომ 1937 წლის 12 დეკემბერს მივიდეთ საარჩევნო ყუთებთან არამარტო საარჩევნო ბიულეტენით, რომელშიც იქნება შეტანილი თქვენი დიდებული სახელი, არამედ ამასთანავე გიპატაკოთ თქვენ, მშობლიურო ამხანაგო **სტალინ,** ახალ საწარმოო გამარჯვებათა შესახებ თვითეულ ქარხანაში, თვითეულ ფაბრიკაში.

დიდი და გრანდიოზულია სოციალიზმის გამარჯვება, რომელთაც ჩვენმა ქვეყანამ თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით მიაღწია, ამხანაგო **სტალინ.**

ჩვენი შესანიშნავი ცხოვრება ბედნიერ, თავისუფალ, ძლიერ საბჭოთა ქვეყანაში დაგვირგვინებულია ეპოქის უდიდესი დოკუმენტით—ჩვენი ახალი კონსტიტუციით, რომელსაც მთელი ჩვენი ხალხი სტალინურ კონსტიტუციას ქძახის. მრავალი სახელოვანი ფურცელი ჩასწერეს ჩვენი ქვეყნის წარჩინებულმა ადამიანებმა — სტახანოველებმა დიდ სამუშაოთა გეგმის, მეორე ხუთწლედის გეგმის ვადაზე ადრე შესრულებისათვის ბრძოლის ისტორიაში.

ჩვენ, სტალინის რაიონის საწარმოთა სტახანოველები, პირობას გაძლევთ თქვენ, იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ სტალინური კონსტიტუციის დროშის ქვეშ ჩვენ კიდევ უფრო ფართოდ განვავითარებთ სტახანოვურ მოძრაობას და ბოლშევიკური მუშაობით ფაბრიკებსა და ქარხნებში მოვიპოვებთ ახალ გამარჯვებებს, რომელნიც ღირსი იქნებიან ისეთი ისტორიული დღისა, როგორიც არის უზენაესი საბჭოს არჩევნები მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის, ჩვენი სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე.

საყვარელო იოსებ ბესარიონის-ძევ!

ჩვენ, სტახანოველები, ყველა მშრომელთან ერთად, უზომოდ ბედნიერნი ვართ იმით, რომ 12 დეკემბერს პატივი გვექნება გამოვთქვათ ჩვენი ხმის მიცემით მთელი მშრომელი ხალხის იმედები და ნებასურვილი — გიხილონ თქვენ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველ დეპუტატად.

ვემზადებით რა შევხვდეთ ჩვენთვის ამ ფრიად მნიშვნელოვან დღეს ახალი საწარმოო გამარჯვებებით, რომლებიც შეეფერება ბელადის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებათა სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის სახელს, ჩვენ მებრძოლურად გავატარებთ არჩევნებამდე დარჩენილ დღეებს, და მოვუწოდებთ ყველა მუშას, ინჟინერსა და ტექნიკოსს 1-დან 10-დეკემბრამდე ჩაატარონ სტახანოვური რეკორდების სტალინური დეკადა.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მომავალშიც, მჭიდროდ დავირაზმებით რა ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, გვეყოლება რა ჩვენი პროლეტარული კოლონების სათავეში პროლეტარული რევოლუციის ისეთი გენიალური სტრატეგი, როგორიც თქვენ, იოსებ ბესარიონის-ძევ, — ჩვენ წავალთ წინ კომუნიზმის ახალ სიმაღლეთა დაპყრობის გზაზე.

გაუმარჯოს ჩვენს ძლიერს, თავისუფალ ხალხს!

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვანს ლენინ-სტალინის ყოვლისშძლე პარტიას!

გაუმარჯოს სოციალიზმის გამარჯვებათა დიდ ორგანიზატორს, ჩვენს მშობლიურ **სტალინს!**

კრების პრეზიდიუმი

სტახანოვური რეკორდების სტალინური დეკადა

მოსკოვი, 19 ნოემბერი (საკდესი). სტალინის რაიონის საწარმოთა დაახლოებით 1.000 სტახანოველმა მუშამ, მუშა-ქალმა, ინჟინერმა და ტექნიკოსმა მოიყარა თავი 19 ნოემბერს სტახანოველთა რაიონულ კრებაზე. კრება მიძღვნილი იყო იმ ვალდებულებათა შესრულების საკითხისადმი, რომლებიც იკისრეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით.

კრებამ ტაშის გრიალში მიიღო დადგენილება, რომელშიც დიდი სიყვარულითა და სიამაყით აღნიშნავს ხალხთა ბელადის დიდი **სტალინის** თანხმობას კენჭი იყაროს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობაზე სტალინის საარჩევნო ოლქში. აღნიშნა რა ეს დიდი მოვლენა,—ამხანაგ სტალინის თანხმობა კენჭი იყაროს სტალინის საარჩევნო ოლქში, სტახანოველთა კრებამ დაადგინა სტახანოვური რეკორდების სტალინური დეკადა ჩაატაროს რაიონის ყველა საწარმოში 1937 წლის 1-დან 10 დეკემბრამდე.

სტახანოველთა კრებამ ოვაციათა გრიალში ერთხმად მიიღო მისალმება ამხანაგ **სტალინისადმი.**

სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმში

მოსკოვი, 17 ნოემბერი (საკდესი). 17 ნოემბერს, ამხ. **მ. ი. კალინინის** თავმჯდომარეობით, შესდგა სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის სხდომა.

სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ჩუცკაევის ინფორმაცია რესპუბლიკების, მხარეების და ოლქების ქაღალდით, კონვერტებით და საარჩევნო დოკუმენტების ბლანკებით მომარაგების შესახებ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის.

ამჟამად რესპუბლიკები, მხარეები და ოლქები მომარაგებული არიან საკმაო რაოდენობის ქაღალდით და კონვერტებით და შინაგანი რეზერვიც კი მოეპოვებათ 15—20 პროცენტის რაოდენობით.

63 აღმასკომმა წარმოადგინა ცნობა, რომ საოლქო და საუბნო კომისიებში საარჩევნო მასალების დაგზავნა უკვე სავსებით დამთავრებულია, მაგრამ ცალკეულ ადგილებში ფერხდება საარჩევნო დოკუმენტების ბეჭდვა ნაციონალურ ენებზე, მაგალითად, ყირგიზეთში და აზერბეიჯანის სს რესპუბლიკაში. ამასთან დაკავშირებით ცაკმა ამ დღეებში მისცა სათანადო მითითებანი საარჩევნო დოკუმენტების ბეჭდვისა და საარჩევნო ოლქებსა და უბნებში დაგზავნის დაჩქარების შესახებ.

ცაკის პრეზიდიუმმა ამხ. ჩუცკაევის ინფორმაცია მიიღო ცნობად.

○

ამავე სხდომაზე ამხ. მ. ი. კალინინმა ლენინის ორდენი და სიგელი საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ გადასცა მაიორს ი. ა. ლაკეევს, რომელიც დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში მთავრობის სპეციალურ დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამ საქმეში გამოჩენილი გმირობისათვის.

შემდეგ ორდენები მიიღეს მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურებმა, რომელნიც დაჯილდოებული არიან შესანიშნავი წარმატებებისათვის საბრძოლო-პოლიტიკურ და ტექნიკურ მომზადებაში.

მეთაურთა სახელით მოკლე სიტყვით გამოვიდა ბრიგადის მეთაური ამხ. კოვალიოვი.

— ჩვენ, ყველანი,—სთქვა ამხ. კოვალიოვმა,—სიხარულის მღელვარებისა და უდიდესი სიამაყის გრძნობას განვიცდით, ვინაიდან ვღებულობთ ჯილდოებს ჩვენი მუშურ-გლეხური მთავრობისაგან, სსრ კავშირის ცაკის თავმჯდომარის, საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის ერთერთი ერთგული თანამებრძოლის მიხეილ ივანეს-ძე კალინინის ხელით.

ეს ჯილდო გვავალებს კიდევ უფრო მჭიდროდ დავრაზმოთ ჩვენი რიგები ბოლშევიკური პარტიის ირგვლივ, კიდევ უფრო განვამტკიცოთ წითელი არმიის საბრძოლო ძლიერება. ჩვენთვის არ არსებობს სოციალისტური სამშობლოს სამსახურზე უფრო საპატიო ამოცანა. ჩვენ, სანამ ცოცხალი ვართ, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულნი ვიქნებით.

ორდენები გადაეცათ აგრეთვე მყვინთავებს ამხ. არხირეევს და ივახოვს, უმცროს მეთაურებს ამხ. სოკოლოვსა და გარშინს, გემ „ანადირის" ხუროს ამხ. მიხაილოვს, თვითმფრინავის მეთაურს, ფრანციოსების მიწის გამომკვლევი ექსპედიციის მონაწილის ამხ. მახოტკინს და სხვა.

შემდეგ ორდენებს ღებულობენ მილიციელები და მუშურ-გლეხური მილიციის უფროსთა შემადგენლობა, დაჯილდოებულნი მუშურ-გლეხური მილიციის 20 წლისთავის შესრულებასთან და სოციალისტური საკუთრებისა და რევოლუციური წესრიგის დაცვის საქმეში მის განსაკუთრებულ დამსახურებასთან დაკავშირებით.

ამ ამხანაგების სახელით სიტყვას ამბობს ამხ. პანოვი, რომელიც დიდ მადლობას უცხადებს მთავრობას.

— მთავრობის მუდმივი ზრუნვა ჩვენზე,—აცხადებს იგი,—გვავალებს კიდევ უფრო მეტი ენერგიით ვებრძოლოთ ხალხის მტრებს, კიდევ უფრო ფხიზლად დავიცვათ სოციალისტური საკუთრება — საბჭოთა წყობილების შეურყეველი საფუძველი, კიდევ უფრო უკეთ ვიმუშაოთ რევოლუციური წესრიგის უზრუნველსაყოფად. ჩვენს ქვეყანაში მილიცია უყვარს ხალხს, ეხმარება მას, ხალხმა იცის, რომ მილიცია მის ინტერესებს იცავს.

ამხ. მ. ი. კალინინმა მიულოცა ყველა ამხანაგს ორდენების მიღება და გამოსთქვა იმედი, რომ დაჯილდოება მათ სტიმულს მისცემს ახალ წარმატებათა მისაღწევად შემდგომ მუშაობაში.

— სულით და გულით ვისურვებ კიდევ შევხვდე განსაკუთრებით იმ ამხანაგებს,—სთქვა მიხეილ ივანესძემ,—რომელნიც აქ პირველად მოვიდნენ.

დამსწრეებმა ამხ. კალინინის მილოცვაზე მქუხარე ტაშით უპასუხეს.

○

პრეზიდიუმის სხდომაზე მიღებულ იქნა აგრეთვე სსრ კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს საერთო დადგენილებანი „შეღავათებზე სასოფლო-სამეურნეო გადასახადების დარგში" და „თავდაცვითი მრეწველობის ჰაერსაწინაღო დაცვის, შეიარაღებული სავახტო დაცვის და მეხანძრეთა რაზმის მუშაკთა დისციპლინის წესდების დამტკიცების შესახებ".

საზღვრის დამრღვევთა შეპყრობა

ჩრდილო-დასავლეთის საზღვარი, 20 ნოემბერი (საკდესი). ნოემბრის ბნელ ღამეში მესაზღვრე ნიკოლოზ დომანი იდგა სტალინურ საპატიო ვახტზე. მას მაგრად ეჭირა ხელში შაშხანა და გასცქეროდა ღამის წყვდიადს.

მისი ყურადღება მიიპყრო ოდნავ შესამჩნევმა აჩრდილმა, რომელიც ბუჩქნარში შეირხა. მესაზღვრემ ყურები სცქვიტა. ერთი წამით გამოჩნდა კიდევ მეორე აჩრდილი. აჩრდილები ხან იმალებოდნენ, ხან კვლავ ჩნდებოდნენ. ეჭვი არ იყო, საზღვარზე მტერი იყო გადმოსული.

საზღვრის დამრღვევნი ვერ ამჩნევდნენ რა თვალმახვილ გუშაგს. ბუჩქნარში მალვით პირდაპირ მისკენ მოდიოდნენ: როდესაც საზღვრის დამრღვევთა და მესაზღვრეს შორის 5 ნაბიჯის მანძილიღა დარჩა, ამხ. დომანმა ჩახმახი დააჩხაკუნა და შესძახა:

— ხელები მაღლა!

ეს ბრძანება მოულოდნელად დაატყდა თავს საზღვრის დამრღვევთ. ჰაერში აღიმართა მტრის ოთხი ხელი. ერთერთ დივერსანტს მაუზერი გაუვარდა ხელიდან.

ნიკოლოზ დომანს 20 წუთს დამიზნებული ჰქონდა თავისი შაშხანა საზღვრის დამრღვევთათვის, სანამ საგუშაგოზე მოირბენდნენ სადარაჯოს უფროსი და რამდენიმე მესაზღვრე.

შეპყრობილნი აღმოჩნდნენ ერთერთი მეზობელი სახელმწიფოს დიდი ჯაშუშები.

უცხოეთის მუშათა დელეგაციები დონის-როსტოვში

დონის-როსტოვი, 19 ნოემბერი (საკდესი). ინგლისის, ამერიკის და სამხრეთ-აფრიკის მუშათა დელეგაციებმა, რომელნიც დონის-როსტოვში ჩამოვიდნენ, ინახულეს ქალაქის საწარმოები, საბავშვო სახლები, კლუბები, მაქსიმ გორკის სახელობის თეატრი.

სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სტალინურმა გიგანტმა—ქარხანა „როსსელმაშმა". ქარხნის მუშები, სპეციალისტები და მოსამსახურეები გულთბილად შეხვდნენ დელეგატებს და მეგობრულად ესაუბრებოდნენ მათ. უცხოელმა სტუმრებმა ინახულეს აგრეთვე როსტოვის სარძეო ქარხანა.

პირუტყვის სრულიად-საკავშირო აღწერა 1938 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიენდოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალურ სამმართველოს ჩაატაროს სსრ კავშირის სოფლისა და ქალაქის ადგილებში უკიდურესი ჩრდილოეთის დაშორებული რაიონების გამოკლებით მსხვილ რქიანი პირუტყვის (კამეჩებისა და იაკების ჩათვლით), ცხვრების, თხების, ღორების, ცხენების, აქლემების აღწერა, აგრეთვე ვირებისა და ჯორების აღწერა იმ ადგილებში, სადაც ისინი ყველაზე მეტად არიან გავრცელებული,—1938 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით.

მიენდოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალურ სამმართველოს ჩაატაროს აღწერის მონაცემთა საკონტროლო შემოწმება, გაავრცელოს რა იგი კოლმეურნეებისა და ერთპიროვნულ მეურნეების კომლთა არანაკლებ ათ პროცენტზე.

2. დაწესდეს, რომ პირუტყვის აღწერა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს მიერ ტარდება 1938 წლის 1 იანვრიდან 8 იანვრამდე.

ნება დაერთოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალურ სამმართველოს განსაკუთრებულ შემთხვევებში ცალკეულ ძნელმისასვლელ რაიონებსა და სოფლსაბჭოებს დაუწესოს პირუტყვის აღწერის ჩატარების განსაკუთრებული ვადები და წესი.

3. დაევალოს სსრ კავშირის მიწსახკომს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს და სხვა უწყებებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ მეცხოველეობის მეურნეობანი, სახელმწიფო და კოოპერატიულ მეურნეობათა დირექტორებს, აგრეთვე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს ჩაატარონ და აღწერის დაწყებამდე დაამთავრონ პირუტყვის ინვენტარიზაცია 1938 წლის 1 იანვრისათვის.

4. დაევალოთ სახელმწიფო და კოოპერატიულ მეურნეობათა დირექტორებს, აგრეთვე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს წარუდგინონ აღწერის ჩამტარებელ რეგისტრატორებს პირუტყვის რაოდენობის ზუსტი და პირადად მათ მიერ შემოწმებული ცნობები 1938 წლის 1 იანვრისათვის იმ ფორმებით, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალურ სამმართველოს მიერ.

5. დაევალოთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, სამხარეო, საოლქო და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს, ქალაქისა და სოფლის საბჭოებს, აგრეთვე ქალაქის ტიპის დაბათა საბჭოებს:

ა) განუმარტონ მოსახლეობას პირუტყვის მომავალი აღწერის მნიშვნელობა და ამოცანები;

ბ) უზრუნველჰყონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს ორგანოები აღწერის ჩატარებისათვის საჭირო შემოწმებულ და მომზადებულ მუშაკთა რაოდენობით;

გ) უზრუნველჰყონ აღწერის მუშაკები მიმოსვლის საშუალებებით რაიონების შიგნით;

დ) მოსმენილ იქნას სახალხო მეურნეობის აღრიცხვის რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო სამმართველოთა უფროსების მოხსენებანი, ხოლო რაიონებში —სახალხო მეურნეობის აღრიცხვის რაიონულ ინსპექტორთა მოხსენებანი აღწერის მომზადების შესახებ და აღწერის დამთავრების შემდეგ მოსმენილ იქნას მოხსენება შედეგების შესახებ.

6. დაწესდეს, რომ არა უგვიანეს 1937 წლის 20 დეკემბრისა, პირუტყვის აღწერის ჩამტარებელ აღმრიცხველთ პერსონალურად ამტკიცებენ რაიაღმასკომები ან ქალაქთა საბჭოები სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს ადგილობრივი ორგანოების წარდგენით.

7. ის პირნი, რომელნიც დამნაშავენი იქნებიან პირუტყვის არასწორი აღწერის ჩატარებაში, აგრეთვე აღწერისათვის წინააღმდეგობის გაწევაში და პირუტყვის გადამალვაში, სისხლის სამართალში მიეცემიან.

8. დაევალოს სსრ კავშირის საგეგმო კომისიის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალურ სამმართველოს წარმოუდგინოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოში 1938 წლის 1 თებერვლისათვის პირუტყვის აღწერის წინასწარი შედეგები, ხოლო 1938 წლის 1 მაისისათვის აღწერის საბოლოო შედეგები.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მოლოტოვი

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი
ნ. პეტრუნიჩევი

მოსკოვი, კრემლი.
1937 წლის 19 ნოემბერი.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის ცნობებით)

ცენტრალური ფრონტი

მეამბოხეებმა უნივერსიტეტის უბნის კლინიკურ ჰოსპიტალში აათეთქეს კონტრნაღმი. აფეთქებამ მცირეოდენი ნგრევა გამოიწვია რესპუბლიკელთა პოზიციებზე.

სერო ბლანკოს მიდამოებში მეამბოხეები უშედეგოდ ცდილობდნენ აეღოთ მათ მიერ ამ დღეებში დაკარგული პოზიციები. მეამბოხეებს დიდი ზარალი მოუვიდათ.

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

ბარბასტროს სექტორში მეამბოხეთა ავიაცია აწყობს გაფრენებს, მაგრამ რესპუბლიკელთა საზენიტო არტილერია თვითეულ შემთხვევაში უკუაქცევდა მეამბოხეთა თვითმფრინავებს.

სიერა დე ალკუბიერის სექტორში რესპუბლიკელთა სამმა ავიაგამანადგურებელმა უკუაქცია მეამბოხეთა თვითმფრინავები და, მოახდინა რა გაფრენა სარაგოს დე ვილიამაიორის მიმართულებით, გაფანტა მეამბოხეთა ჯარების რამდენიმე შეჯგუფება.

მდინარე ებროს სამხრეთ სექტორში რესპუბლიკელთა არტილერიამ შეაჩერა მეამბოხეთა ჯარების მნიშვნელოვანი გადაჯგუფება. განადგურებულია მეამბოხეთა რამდენიმე კოლონა, რომლებიც მიდიოდნენ სარაგოსიდან ფუენტესში.

რესპუბლიკელთა ჯარებმა, მიიტანეს რა იერიში პუერტე ესკანდონის სექტორში, ხელთ იგდეს დიდძალი საომარი მასალა.

ურიბეს გამოსვლა ესპანეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

ბარსელონა, 18 ნოემბერი (საკდესი). ესპანეთის მიწათმოქმედების მინისტრმა — ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ურიბემ თავისი გამოსვლა ესპანეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მიუძღვნა ქვეყნის სასურსათო მდგომარეობას. ერთიანი ფრონტის პრობლემასა და ზურგში მტრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლას.

აღნიშნა რა დიდი ნაკლოვანებანი რესპუბლიკური ესპანეთის სამრეწველო ცენტრებისა და ქალაქების მომარაგების ორგანიზაციის საქმეში, ურიბემ განაცხადა, რომ მტრები იყენებენ ამ ნაკლოვანებებს თავიანთი ძირგამომთხრელი მუშაობისათვის.

ურიბემ ამოცანად დასახა: უშუალოდ მოჰკიდონ ხელი მომარაგების საკითხებს მუნიციპალიტეტებსა, პროფკავშირებსა და ქარხნებში.

შემდეგ ურიბე შეჩერდა ზურგის მდგომარეობაზე და აღნიშნა, რომ ზურგში მთავარ ამოცანას წარმოადგენს აპარატის ისეთი ორგანიზაცია, რომლის დროსაც ეს უკანასკნელი მჭიდროდ იქნებოდა დაკავშირებული მასებთან. უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა პორაჟენცული ტენდენციების წინააღმდეგ, რომელთა თვალსაჩინო წარმომადგენელია ლარგო კაბალიერო.

შემდეგ, აღნიშნა რა, რომ სახალხო ფრონტის მთავრობამ ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რათა განემტკიცებინა ხალხის მონაპოვრები, ურიბემ განაცხადა, რომ საჭიროა ბრძოლა ძველის ნაშთებთან—შინაურულობასა, პროტექციასა და თვითნებობასთან და საჭიროა დემოკრატიის განვითარება.

შემდეგ ურიბემ მიუთითა, რომ სახალხო ფრონტის პოლიტიკა წარმოადგენს ერთადერთ შესაძლო პოლიტიკას ესპანეთში და აღნიშნა, რომ სახალხო ფრონტში კომუნისტები არავის ახვევენ თავზე თავის იდეოლოგიას. „ეს იმას არ ნიშნავს, —განაცხადა მან,—რომ პარტია ჰკარგავს თავის სახეს. ყველაზე მაღლა სდგას პროლეტარიატის ერთიანობა და პარტიის ერთიანობა".

ყოველ ამომრჩეველს ვუამბოთ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრების შესახებ. მის დამსახურებათა შესახებ სოციალისტური სამშობლოს წინაშე

ვასილ იაკობის-ძე ეგნატაშვილი

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების გორის საარჩევნო ოლქის № 116-ის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ-დან სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ვასილ იაკობის-ძე ეგნატაშვილი — საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის ორგანოს გაზეთ „კომუნისტის" პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე.

ვ. ი. ეგნატაშვილი გამოსულია გლეხის ოჯახიდან. დაიბადა 1888 წლის 27 თებერვალს გორში. ვასილ ეგნატაშვილის ჭაბუკობა იმ წლებს ეკუთვნის, როდესაც რევოლუციური მოძრაობა ფართო ტალღად მოედო ახალგაზრდობას, როდესაც სასწავლებლებსა და უნივერსიტეტებში გაისმოდა პროტესტის ხმები მეფის მთავრობისა და სახრჩობელას პოლიტიკის წინააღმდეგ. ვასილ ეგნატაშვილი თბილისის მე-3 გიმნაზიის მეექვსე კლასის მოწაფედ რომ იყო, იგი რამდენიმე სხვა რევოლუციურად განწყობილ მოწაფესთან ერთად სასწავლებლიდან დაითხოვეს.

შემდეგ ვასილ ეგნატაშვილმა ჩააბარა გამოცდა სიმწიფის ატესტატზე და შევიდა კიევის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. კიევში ვასილ ეგნატაშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა არალეგალურ რევოლუციურ მუშაობაში, ხელმძღვანელობდა პოლიტიკურ წრეებს. მეფის ოხრანკას, რომელიც გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს სტუდენტობის „პოლიტიკურ კეთილსაიმედოობას", მხედველობიდან არ გამორჩა ვასილ ეგნატაშვილი. ჩამოვიდა თუ არა 1913 წლის ივნისში საზაფხულო არდადეგებზე საქართველოში, იგი დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. ოთხი თვე დაჰყო ამხ. ეგნატაშვილმა საპყრობილის ჯურღმულებში და შემდეგ გადასახლებულ იქნა ხარკოვში 3 წლით. აქ მან მოახერხა ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შესვლა. მოხვდა რა კვლავ სტუდენტთა წრეში და ამავე დროს მუშაობდა რა ფოლადის სამსხმელო ქარხანაში, ამხ. ეგნატაშვილი კვლავ აქტიურ მონაწილეობას იღებს პოლიტიკურ წრეებში, კვლავ ხელმძღვანელობს მათ.

ხარკოვში გადასახლების ვადა გავიდა 1916 წლის ზაფხულში, როდესაც ამხ. ეგნატაშვილი იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსზე გადავიდა. ამ წლებში მეფის მთავრობა გულმოდგინედ ცდილობდა ჯარების განმტკიცებას ახალი შევსებით, რისთვისაც სტუდენტებს, რომლებსაც უმაღლესი სასწავლებლები ჯერ კიდევ არ დაემთავრებინათ, სამხედრო სამსახურში იწვევდა და სამხედრო სასწავლებლებში ჰგზავნიდა. ვ. ეგნატაშვილიც, რომელმაც გადასახლების ვადა მოიხადა, გაიწვიეს, რათა სამხედრო სასწავლებელში გაეგზავნათ. ისევე, როგორც სხვა გაწვეულ სტუდენტებს, მას ნება დართეს ერთი თვით შინ დაბრუნებულიყო. 1917 წლის რევოლუციამ იხსნა ამხ. ეგნატაშვილი მეფის სამხედრო სასწავლებელში წრთვნისაგან.

1917 წლიდან ამხ. ეგნატაშვილი ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას, მუშაობს გორის უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში და აქტიურ მონაწილეობას იღებს რევოლუციურ მოძრაობაში.

1919 წელს ამხ. ეგნატაშვილი შევიდა თბილისის უნივერსიტეტში, სადაც 1921 წლის ზაფხულამდე მოისმინა ხუთი უკანასკნელი სემესტრი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამხ. ეგნატაშვილს შესაძლებლობა მიეცა ფართოდ გაეშალნა პედაგოგიური და ლიტერატურული მოღვაწეობა. 1922 წელს იგი ასწავლის თბილისის შრომის სკოლებსა და ტექნიკუმებში, შემდეგ ერთი წლის განმავლობაში—თელავის ტექნიკუმში, უჭირავს თელავის ათწლედის გამგის მოადგილის თანამდებობა. თბილისში დაბრუნების შემდეგ იგი ლექციებს კითხულობს სხვადასხვა კურსებზე, მათ შორის 1935-36 წლ. რედაქტორთა კურსებზე.

ჯერ კიდევ მოწაფეობის წლებში დაწყებულ ლიტერატურულ მუშაობას ამხ. ეგნატაშვილი განაგრძობს. მუშაობს მთარგმნელად, ხოლო შემდეგ ლიტერატურულ რედაქტორად პარტიულ გამომცემლობებში, „კოლექტივიზაციის" რედაქციაში, სახელგამში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის ორგანო გაზეთ „კომუნისტის" რედაქციაში ამხ. ეგნატაშვილი მუშაობდა 1927-1930 წლ. თანამშრომელმთარგმნელად, ხოლო შემდეგ, 1935 წლის ივლისიდან მუშაობს პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილედ.

კომუნისტური პარტიის წევრმა, **ლენინ-სტალინის** საქმის ერთგულმა, ამხ. ეგნატაშვილმა დაიმსახურა ამომრჩეველთა მაღალი ნდობა.

ისმაილ ხასანის-ძე ფუტკარაძე

ისმაილ ხასანის-ძე ფუტკარაძე დაიბადა ბათუმის რაიონში, სოფელ საფუტკრეტში 1902 წელს, ღარიბი გლეხის ოჯახში. ისმაილის მამამ— ხასან ფუტკარაძემ მრავალჯერ განიზრახა თავი დაეღწია და გაქცეოდა ბეგ-აღალარებთან მონურ ცხოვრებას, მაგრამ არ იცოდა სად წასულიყო და ვისთვის დაეტოვებინა ცოლშვილი. მაშინდელი უკულმართი ცხოვრება საშუალებას არ აძლევდა ადამიანურად ეცხოვრა. 10 წლის იქნებოდა ი. ფუტკარაძე, როცა 1912 წელს დაიწყო მოჯამაგირეობა-მწყემსობა. მას არ უგემია ბავშობის სიტკბოება და ალერსი. მძიმე და აუტანელი იყო პატარა ისმაილისათვის სოფელ-სოფელ ხეტიალი, მწყემსობა და მოჯამაგირეობა. 1921 წლამდე კარჩხალის მთებში სალამურს აკვნესებდა და მის ჰანგებში აქსოვდა მოჯამაგირის ცხოვრების სევდასა და ვარამს.

მაგრამ 1921 წლის 18 მარტს აჭარაში ამობრწყინდა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის მზე. აი ამ დღიდან იწყება ისმაილ ფუტკარაძისა და მისი ოჯახის ნამდვილი ადამიანური ცხოვრება. იწყება მისი ახალი ცხოვრების ბიოგრაფია.

ისმაილის მშობლები—მამა და დაძმანი აქტიური კოლმეურნეები არიან — კულტურულად და შეძლებულად ცხოვრობენ.

ისმაილ ფუტკარაძემ ანბანის სწავლა დაიწყო 1925 წელს სოფლის სკოლაში, დღითიდღე ძლიერდებოდა ისმაილის მისწრაფება და სურვილი სწავლისაკენ. 1926 წელს იგი შედის აჭარის საბჭოთა პარტიულ სკოლაში (ბათუმი), და წარმატებით ამთავრებს მას 1928 წელს.

პარტიული სკოლის დამთავრების შემდეგ მას გზავნიან ბათუმის სუბტროპიკულ მუშფაკში, რომელსაც ამთავრებს 1933 წელს. ისმაილ ფუტკარაძეს, როგორც ენერგიულ ახალგაზრდას მუშფაკის კოლექტივი ირჩევს პროფკომის თავმჯდომარედ, ამავე დროს ის მუშაობს პროპაგანდისტად.

საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტი ისმაილს გზავნის მოსკოვში აღმოსავლეთის მშრომელთა სტალინის სახელობის კომუნისტურ უნივერსიტეტში.

მოსკოვში სწავლის დროს ისმაილ ფუტკარაძე მუშაობს პროპაგანდისტად მეტროს მეორე რიგის მშენებლობაზე. ორი წლის მუშაობის განმავლობაში მან დაიმსახურა დიდი ნდობა და სიყვარული მეტროს მშენებელთა კოლექტივის მხრივ.

1937 წელს ისმაილ ფუტკარაძემ დაამთავრა აღმოსავლეთის მშრომელთა სტალინის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტი და დაუბრუნდა ბათუმს. პარტია მას ნიშნავს აჭარვაჭრობის მმართველად, შემდეგ ინიშნება აჭარის ასს რესპუბლიკის ცაკის თავმჯდომარის მოვალეობის ამსრულებლად.

ამხ. ისმაილ ხასანის-ძე ფუტკარაძე საქ. კ. პ. (ბ) წევრია 1930 წლიდან.

აჭარის მშრომელები კარგად იცნობენ ისმაილ ფუტკარაძეს, როგორც ლენინ-სტალინის პარტიის დიადი საქმის ერთგულს და უცხადებენ მას დიდ ნდობას.

აჭარის ასს რესპუბლიკის, მახარაძის და ჩოხატაურის რაიონების კოლმეურნეები და კოლმეურნე-ქალები, მუშები და მუშა-ქალები, მშრომელი ინტელიგენცია ისმაილ ფუტკარაძეს ასახელებენ სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

საუბნო კომისია სუსტად მუშაობს

17 ნოემბერს სტუდენტთა ქალაქის ცენტრალური კორპუსის განიერ დერეფანში გამოჰკიდეს ამომრჩეველთა სიები, და უკვე ორი საათის შემდეგ 94 ამომრჩეველმა განაცხადა, რომ ისინი შეტანილი არ არ არიან სიებში, 27 კაცმა კი განაცხადა, რომ მათი სახელი და გვარი დამახინჯებულია.

საუბნო კომისია ფაქტიურად ჯერ კიდევ არ შესდგომია გაღრმავებულ მუშაობას ამომრჩევლებთან. ამ საარჩევნო უბნის მცხოვრებ მრავალ მდგმურს არ შეუსწავლია „სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება", ამავე დროს კი საუბნო კომისია ისევ ელოდება, რათა მას გაუგზავნონ პროპაგანდისტები პარტიის რაიკომიდან, ნაცვლად იმისა, რომ შეუდგეს წრეების ორგანიზაციას. კომისიის ირგვლივ არ არის ნებაყოფლობითი აქტივი, რომლის საშუალებითაც მას შეეძლოს დაუკავშირდეს ამომრჩევლებს; მთელ მუშაობას ფაქტიურად კომისიის 3-4 წევრი ეწევა.

კომისიის თავმჯდომარე ამხ. ხელაძისათვის ჯერ კიდევ გაურკვეველია, თუ საარჩევნო სადგომში რამდენი კაბინა იქნება საარჩევნო ბიულეტენების შესავსებად, სად იშოვის საჭირო ავეჯს, როგორ იწარმოებს შემდგომი მასობრივი მუშაობა ამომრჩევლებთან და სხვ.. ამხ. ხელაძემ არც ის იცის, თუ ვინ არის რწმუნებული პირი უბანში. (საქდესი).

სანიმუშო საარჩევნო უბანი

საუბნო საარჩევნო კომისია № 133 (26 კომისრის სახელობის რაიონი) აქტიურად ემზადება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის. საუბნო კომისიის სადგომი ლამაზად გამოიყურება; იგი მორთულია ლოზუნგებით, პლაკატებით, ამხანაგ სტალინისა და მის მებრძოლ თანამოსაგრეთა პორტრეტებით.

სავსებით მომზადებულია თვით საარჩევნო სადგომი, რომლისათვის გამოყოფილია 4 ოთახი. მოწყობილია კაბინები ბიულეტენების შესავსებად. გამოყოფილია „დედისა და ბავშვის" ოთახი.

შემოღებულია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მორიგეობა. 18 ნოემბერს მორიგეობდა კომისიის მდივანი ამხ. გ. მიზაშვილი. იგი დალაგებით და საფუძვლიანად აძლევდა განმარტებას ამომრჩევლებს, რომლებიც მას მიმართავდნენ.

ავადმყოფ, ინვალიდ და მოხუც ამომრჩეველთა მომსახურებისათვის არჩევნების დღეს უბნის ფარგლებში გამოყოფილია ორი ავტომანქანა.

შალვა ნიკოლოზის-ძე დადიანი

ბერიას სახელობის კოლმეურნეობის (თბილისის რაიონი, სოფ. ავჭალა), ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის (თბილისის რაიონი, სოფ. ბაგები), მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის (ორთაჭალა), ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის (საგარეჯოს რაიონი, სოფ. სართიჭალა) კოლმეურნეთა საერთო კრებებმა, რომლებსაც დაესწრო 1.225 კაცი, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, მწერალი-დრამატურგი შალვა ნიკოლოზის-ძე დადიანი.

შალვა ნიკოლოზის-ძე დაიბადა 1874 წელს ქალ. ზესტაფონში, ცნობილი საზოგადო მოღვაწის ნიკოლოზ ტარიელის-ძე დადიანის ოჯახში.

მამამ მტკიცედ გადასწყვიტა განევითარებინა შვილისათვის ინიციატივა და დამოუკიდებლობა, რისთვისაც ასწავლიდა პატარა შალვას ბავშვობიდანვე კარგად ჩაჰკვირვებოდა ცხოვრების მოვლენებს, მოეხდინა მათი ანალიზი, გამოეყვანა დასკვნები. ბავშვის ყოველმხრივ განვითარებას ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ ნიკოლოზ ტარიელის-ძის ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ იმდროინდელი საზოგადო მოღვაწენი.

პატარა შალვა ძალიან გატაცებული იყო თეატრით, სასცენო მოღვაწეობით, 17 წლისა იგი უკვე გამოდის ქუთაისის დიდი დრამატიული თეატრის სცენაზე კოტე მესხის ხელმძღვანელობით. ქუთაისიდან შალვა ნიკოლოზის-ძე სამუშაოდ გადადის ქართული დრამატიული საზოგადოების თბილისის თეატრში. თბილისში მან მალე მოიპოვა პოპულარობა და მშრომელი მასების სიყვარული. ამავე დროს იგი რეჟისორად მუშაობდა ავჭალის ცნობილ აუდიტორიაში, რომელიც იმ დროის ყველაზე დემოკრატიული თეატრი იყო საქართველოში. შალვა ნიკოლოზის-ძემ შორს გაითქვა სახელი თბილისის ფარგლებს გარეთ. მან მოაწყო მოგზაური დასი და მოგზაურობდა საქართველოს ქალაქებსა და დაბებში. მისი დასის სახელმა მიაღწია ნოვოროსიისკის ქართველ მტვირთავ მუშებამდე, რომლებმაც დადიანის დასი საგასტროლოდ მიიწვიეს ნოვოროსიისკში.

არტისტულ მოღვაწეობას შალვა ნიკოლოზის-ძე აერთებს ლიტერატურულ მოღვაწეობასთან. 1896 წელს შალვა ნიკოლოზის-ძემ მინიატურებით დაიწყო, ხოლო შემდეგ ჰქმნის სულ უფრო და უფრო დიდ მოთხრობებსა და დრამატიულ ნაწარმოებებს. მათში იგი ასახავდა მუშათა კლასისა და ღარიბი გლეხობის განწყობილებებს. შალვა ნიკოლოზის-ძემ დასწერა სულ 40-მდე ორიგინალური პიესა. განსაკუთრებით გამოირჩევა კომედიები „შენი ჭირიმე", „გუშინდელნი" და სხვ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შალვა ნიკოლოზის-ძემ დასწერა მთელი რიგი საუცხოო პიესები, რომლებიც ფართო პოპულარობით სარგებლობენ. ასეთებია „კაკალ გულში", „თეთნულდი", „ნინოშვილის გურია", „ჩატეხილი ხიდი" და სხვ.

ამ ბოლო დროს შალვა ნიკოლოზის-ძემ დასწერა პიესა „ნაპერწკლიდან", რომელიც მიძღვნილია საქართველოში და კავკასიაში ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩასახვისადმი ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით.

ამჟამად ამხ. დადიანი, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწესთან კინორეჟისორ ნ. შენგელაიასთან ერთად, სწერს სცენარს იმავე თემაზე. გარდა ამისა, მთავრდება ბეჭდვა მისი ისტორიული რომანის „ურდუმისა" სამეგრელოს გლეხთა XIX საუკუნის აჯანყების ეპოქიდან.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ უზრუნველჰყო მწერლის ნიჭის ჭეშმარიტი გაფურჩქვნა, დააფასა მისი დამსახურება მშრომელთა წინაშე. 1923 წელს საზეიმო პირობებში გადახდილ იქნა მისი არტისტულ - ლიტერატურული მოღვაწეობის ოცდაათი წლისთავი, ხოლო 1935 წელს შალვა ნიკოლოზის-ძე დადიანს საქართველოს სსრ მთავრობამ საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება მიანიჭა.

შალვა ნიკოლოზის-ძე ამაყობს თავისი მშვენიერი სამშობლოთი, საბჭოთა საქართველოში სოციალისტური მშენებლობის უდიდესი წარმატებებით, რომლებმაც უზრუნველჰყვეს ქართველი ხალხის კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის უდიდესი აყვავება. საბჭოების სრულიად-საქართველოს საგანგებო VIII ყრილობაზე შალვა ნიკოლოზის-ძეს წილად ხვდა დიდი პატივი: მან ხელი მოაწერა საქართველოს სსრ კონსტიტუციის ტექსტს.

თბილისის — სასოფლო საარჩევნო ოლქის № 511-ის კოლმეურნეებმა, რომლებმაც წამოაყენეს შალვა ნიკოლოზის-ძის კანდიდატურა, იციან, რომ მთელი საარჩევნო ოლქი ერთსულოვნად მისცემს ხმას მის სასარგებლოდ.

სააგიტაციო მუშაობა დაივიწყეს

უკვე ჩატარდა მშრომელებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა წინასაარჩევნო თათბირები. დამთავრდა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების წამოყენება. ახლა მთელი მუშაობა გადატანილია საარჩევნო უბნებში, სადაც პრაქტიკულად სწყდება არჩევნების წარმატების საკითხი. ამჟამად საარჩევნო კომისიებს უკვე უნდა ჰქონდეთ კეთილმოწყობილი ბინები, ამომრჩეველთა შორის გაშლილი უნდა იყოს იდეური, შინაარსობრივად ღრმა საგიტაციო-ახსნაგანმარტებითი მუშაობა.

ნდობით აღჭურვილი პირები აქტივისტთა ჯგუფების დახმარებით უნდა ეწეოდნენ აგიტაციას დასახელებული კანდიდატის სასარგებლოდ. მაგრამ, სამწუხაროდ, მათ ჯერ კიდევ ბევრგან არათუ საგიტაციო მუშაობისათვის არ მოუკიდნიათ ხელი, არამედ ზოგიერთ უბანში არც კი მისულან, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებსაც კი არ იცნობენ.

სტალინის სახელობის რაიონში. საუბნო საარჩევნო კომისია № 57 14 ნოემბრიდან შეუდგა მუშაობას, მაგრამ აქ ჯერ კიდევ არ გამოცხადებულა ნდობით აღჭურვილი პირი, არ არის შექმნილი აქტივისტთა ჯგუფი, ამომრჩეველთა მეტი ნაწილი გარკვეული არ არის არჩევნების ელემენტარულ საკითხებშიაც კი. მაგალითად, ბორჯომის ქუჩაზე მცხოვრებმა ამომრჩევლებმა, განსაკუთრებით დიასახლისებმა, არ იციან, როდის მოხდება არჩევნები. არ იციან, როგორ უნდა მოიქცნენ არჩევნების დღეს, სად მივიდნენ. როგორ უნდა მისცენ ხმა კანდიდატს. ზოგიერთს ჰგონია, რომ საარჩევნო ბიულეტენებს მათ სახლში მიუტანენ. ასეთივე მდგომარეობა გამოირკვა ჩელუსკინის ქუჩაზე № 1—13, 2—16 სახლებში. აქ მცხოვრებ დიასახლისთა უმრავლესობამ არ იცის, ვინაა მათ რაიონში წამოყენებული უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად. ბორჯომის ქუჩაზე № 3 სახლში მცხოვრებმა დიასახლისებმა მხოლოდ 18 ნოემბერს გაიგეს, რომ მათ ოლქში უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულია ამხ. ლ. პ ბერია. ისინი საათ-ნახევარს ესაუბრნენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს, არჩევნების წესზე და უდიდესი ყურადღებით და აღფრთოვანებით ისმენდნენ განმარტებებს ამ საკითხის ირგვლივ.

ყველგან, სადაც კი მივიდნენ კომისიის წევრები, დიასახლისები სამართლიან საყვედურს ეუბნებოდნენ,—„არ გვასწავლიან ახალ საარჩევნო კანონს, არ გვაცნობენ ჩვენი ოლქიდან უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების ბიოგრაფიასო" და სხვ. ასევე სამართლიან საყვედურს გამოსთქვამენ სტალინის რაიონის ზოგიერთი საუბნო საარჩევნო კომისიებიც, რომ მათ არ ეხმარებიან პირველადი პარტორგანიზაციები საგიტაციო მუშაობის გაშლაში, უმრავლეს უბნებში ჯერაც არა ჰყავთ მომაგრებული პოლიტიკურად შემოწმებულ და მომზადებულ აქტივისტთა ჯგუფები. როდესაც კომისიის წევრები სტალინის რაისაბჭოში ამხანაგებს შეეკითხნენ: რატომ არ მოდიან ჩვენთან ნდობით აღჭურვილი პირებიო, საბჭომ მათ რაიკომზე მიუთითა—ისინი რაიკომის განკარგულებაში არიან და იქ მოიკითხეთო.

საინტერესოა, რას ელოდებიან ისინი რაიკომში?

სტალინის ოლქის საარჩევნო უბნებში არც სხვა მხრივ არის ყველაფერი თავის რიგზე. მაგალითად. ამომრჩეველთა სიები დაუდევრად შედგენილი აღმოჩნდა. შემოწმებიდან გამოირკვა, რომ მთელ რიგ საარჩევნო უბნებში გამოკრულ ამომრჩეველთა სიებში მრავალი დამახინჯებაა. საარჩევნო უბანში № 57 — ამომრჩეველთა სიაში ერთი და იგივე 6 ამომრჩევლის გვარი და სახელი ორჯერ არის შეტანილი, დამახინჯებულია ბევრი ამომრჩევლის გვარი და სახელი. არის ასეთი შემთხვევა, რომ ქმარი ჩაწერილია ცოლისა და თავისი გვარით—ორჯერ, ხოლო ცოლი სრულიად გამოტოვებულია სიაში. მოქალაქე პავლე ვასილის-ასულის ნაცვლად სიაში სწერია პავლე ვასილის-ძე, ან კიდევ უნდა ეწეროს ნინო ლევანის-ასული, დაბადებული 1901 წელს, ხოლო სწერია ნინა ლერვანის-ასული, დაბადებული 1902 წელს. სიაში გამოტოვებულია ამომრჩეველთა საგრძნობი რაოდენობა.

რაც შეეხება საარჩევნო უბნების გაფორმება-მოწყობას, ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობაა. მაგალითისათვის შეიძლება ავიღოთ საარჩევნო უბანი № 57. შორიდანვე შეამჩნევთ განსახკომის მეორე სკოლის საზეიმოდ მორთულ შენობას. შესასვლელთან თვალსაჩინო შრიფტით წაწერილია „საარჩევნო უბანი № 57". თვით შენობის შუა ადგილზე გამოკრულია პლაკატი „12 დეკემბერი" სათანადო წარწერით. კედლებზე გაკრულია ლოზუნგები. მთელი შენობა მორთულია საზეიმოდ. შესასვლელთან პირველ ოთახში მუშაობს კომისიის მდივანი, მეორეში მოწყობილია ამომრჩეველთა დასაცდელი ოთახი, სადაც გამოკრულია ქართულ და რუსულ ენაზე ამომრჩეველთა სიები, დგას გრძელი მაგიდა, რომელზედაც აწყვია ჟურნალ-გაზეთები და მთელი ლიტერატურა არჩევნების შესახებ. მესამე ოთახში მოწყობილია ათი კაბინა (შირმებით), თითო კაბინაში დგას მაგიდა სამელნითა და კალმისტარით, ჰკიდია პარტიის ხელმძღვანელთა სურათები. მეოთხე ოთახში დაიდგმება საარჩევნო ყუთი, ამ უკანასკნელ ოთახიდან არის გარეთ გასასვლელიც. გაფორმებისა და ტექნიკურად მოწყობის მხრივ ეს უბანი სამაგალითოა. საჭიროა ასეთივე სამაგალითო გახდეს იგი საგიტაციო და საპროპაგანდო მუშაობითაც.

ა. გვინჩიძე.

საარჩევნო უბანი № 21

სულ რამდენიმე დღეა ჩამოყალიბდა კიროვის საარჩევნო ოლქის საარჩევნო საუბნო კომისია № 21. კომისია მოთავსებულია ამხანაგ ლავრენტი ბერიას სახელობის კულტურის სახლში. მშვენიერი შენობა და კარგად მოწყობილი ოთახები გადაუციათ საუბნო საარჩევნო კომისიისათვის. ამ მხრივ სასაყვედურო არაფერია.

კომისიის მუშაობაზედაც უარყოფითი არაფერი ითქმის: დაუბეჭდავთ და იზოებში და ბინებში გაუკრავთ ფურცლები ამომრჩეველთა საყურადღებოდ, ახლა მუშაობენ ამომრჩეველთა სიების დაზუსტებაზე, საუცხოოდ მოუწყვიათ საარჩევნო ბიულეტენების დასარიგებელი დარბაზი, მოუწყვიათ აგრეთვე საკონსულტაციო ბიურო, კარგად გაუფორმებიათ როგორც შენობის შესასვლელი, ისე შიგნითა დარბაზები, მაგრამ... იმისთვის, რომ ამ უბანში არჩევნები წარმატებით ჩატარდეს, ყველაფერი ეს საკმარისი არ არის.

ახლა ირკვევა, რომ კიროვის რაისაბჭოს ამ უბნის არაორგანიზებულ მოსახლეობაში წინასწარი მასობრივი მოსამზადებელი მუშაობა, მეტი რომ არ ითქვას, სუსტად ჩაუტარებია. საკონსულტაციო ბიუროში მოდიან მშრომელები ისეთი კითხვებით, რომლებიც მოწმობენ არჩევნების დებულებასთან მათ გაუცნობლობას. ამ უბნის მოსახლეობა (1 მაისის ქუჩა, ამავე სახელწოდების ჩიხი, ლერმონტოვის ქ. № 1-დან № 7-მდე, ალავერდის მოედნის ნაწილი, ამავე სახელწოდების ჩიხი და შესახვევი, სომხების ჩიხი, კოოპერაციის ქუჩის ნაწილი, და ველიამინოვის ქუჩის ნაწილი) ქალაქის დანარჩენი რაიონების მცხოვრებლებთან შედარებით, უფრო მეტ ყურადღებას საჭიროებენ. ეს გარემოება თავიდანვე რომ მხედველობაში მიეღოთ, მაშინ ის მდგომარეობა, რომელიც ახლაა, აღარ იქნებოდა. ბევრი ამომრჩეველი კითხულობს კონსულტაციაში, თუ როდის იქნება არჩევნები, ან ვისა აქვს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება და სხვა ასეთი.

საუბნო საარჩევნო კომისიას ახლა უხდება ორმაგი მუშაობის წარმოება, ახსნა-განმარტებითი მუშაობა და დასახელებული კანდიდატების გაცნობა ამომრჩეველთათვის. რა თქმა უნდა, ასეთ ჩამორჩენილ ამომრჩეველთა რიცხვი მცირეა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ამართლებს კიროვის რაისაბჭოს.

მეორე ამოცანა, რომელიც დგას საუბნო საარჩევნო კომისიის № 21-ის წინაშე, ეს არის ამომრჩეველთა სიების დაზუსტების აუცილებლობა. კიდევ დიდი მუშაობაა საჭირო, რომ ეს სიები დააზუსტონ, ხოლო საამისო ძალები კომისიას არ ჰყოფნის. საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულებაში 10 აგიტატორია. მათ უნდა დააზუსტონ სიები, გასწიონ აგიტაცია - პროპაგანდა, მისცენ ახსნა-განმარტება ამომრჩევლებს ადგილებზე და სხვ.

საჭიროა აგიტატორთა რიცხვის გადიდება, რათა საუბნო საარჩევნო კომისიამ დროულად შესძლოს ყველა ამოცანათა წარმატებით შესრულება.

დ. ამირანიძე

მწერლის მ. შოლოხოვის წერილი

მწერალმა მიხეილ შოლოხოვმა, რომელიც ნოვოჩერკასკის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრაციაშია გატარებული კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად, ოლქის ამომრჩევლებს მიმართა შემდეგი წერილით:

„ძვირფასო ამხანაგებო!

თქვენ მიერ ჩემს დასახელებას უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად, თქვენს ნდობას, რომელიც მე გამომიცხადეთ, ვღებულობ, როგორც უმაღლეს ჯილდოს ჩემი პარტიულ-საზოგადოებრივი და ლიტერატურული მუშაობისათვის.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს მავალებს მთელი ჩემი შემოქმედებითი შესაძლებლობანი, მთელი ჩემი სიცოცხლე მოვახმარო პარტიის, ხალხის სამსახურის საქმეს".

სალამი მ. შოლოხოვი

სტანიცა ვეშენსკაია, 18 ნოემბერი. (საკდესი).

ამომრჩევლები მწერალ ა. ტოლსტოისთან

ლენინგრადი, 19 ნოემბერი (საკდესი). სტარორუსკის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები გუშინ ეწვივნენ მათ მიერ კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ მწერალს ალექსი ნიკოლოზის-ძე ტოლსტოის.

ქალაქ პუშკინში ალექსი ნიკოლოზის-ძეს ესტუმრნენ: სტარორუსკის ფირფიცრის კომბინატის წარჩინებული სტახანოველი 77 წლის სიმონ კუპრიანის-ძე კუპრიანოვი, რომელმაც პირველმა დაასახელა ტოლსტოის კანდიდატურა, ამავე კომბინატის ახალგაზრდა ინჟინერი პროპაგანდისტი ამხ. ბარაქსინი, № 2 საფირფიცრო ქარხნის სტახანოველი-ქალი ამხ. ზახაროვა, კოლმეურნეობა „ატეისტის" სტახანოველი ამხ. კარპოვი, რაიონული გაზეთის რედაქტორი ამხ. გლადკიხი. მეგობრულმა საუბარმა 2-ნახევარ საათს გასტანა. სტუმრებმა ამომრჩევლებისაგან მხურვალე სალამი გადასცეს თავის კანდიდატს და მიიწვიეს იგი საარჩევნო ოლქში.

ალექსი ნიკოლოზის-ძემ სტარორუსკის ოლქის ამომრჩევლებს მისწერა წერილი, რომელშიც ჰპირდება, რომ ეწვევა მათ და გააცნობს თავის ლიტერატურულ მოღვაწეობას. მწერალს განზრახული აქვს ჩაუტანოს თავის ამომრჩევლებს რამოდენიმე ათასი ცალი თავისი ახალი რომანი „პური".

ზრუნვა ამომრჩეველზე

კალინინი, 19 ნოემბერი (საკდესი). კალინინის რაიონის (კალინინის საქალაქო საარჩევნო ოლქი) ბორისკოვის უბნის საარჩევნო კომისია ზრუნავს თვითეულ ამომრჩეველზე.

ყველა სახლში, რომლებშიც ამ უბნის ამომრჩევლები ცხოვრობენ, გაგზავნილია სპეციალური წერილები. ამ წერილებში კომისია იუწყება, თუ სად არის იგი მოთავსებული, სად მოხდება არჩევნები, როდის შეიძლება მისვლა კონსულტაციისათვის საარჩევნო კანონის შესახებ და სად არის მოთავსებული ცნობათა მაგიდა. ამომრჩეველს აცნობებენ აგრეთვე საარჩევნო კომისიის წევრთა მორიგეობის დროს და იმას, თუ სად შეიძლება გაეცნონ ამომრჩეველთა სიებს.

ფილმები სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის

მოსკოვი, 19 ნოემბერი (საკდესი). მოსკოვის „სოიუზკინო ქრონიკის" სტუდიამ გამოუშვა შვიდი სპეციალური ფილმი, რომლებიც მიძღვნილია სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისადმი. თვითეული მათგანის (ხმოვანი და უხმო ვარიანტის) ტირაჟი დაახლოებით 1.000 ცალამდე იქნება. ამჟამად ეკრანზე გამოდის „სოიუზკინოჟურნალი" № 53, რომელიც მთლიანად მიძღვნილია ქალ. მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქისადმი. ჟურნალში შეტანილია საწარმოთა კრებებისა და სპარტაკის მოედანზე გამართული 125-ათასიანი მიტინგის სურათები. ნაჩვენებია აგრეთვე საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა, რომელზედაც ამხანაგი სტალინი გაატარეს რეგისტრაციაში სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

არასერიოზული დამოკიდებულება საარჩევნო კამპანიის ორგანიზაციული საკითხებისადმი

მაგნიტოგორსკი, 19 ნოემბერი (საკდესი). მაგნიტოგორსკის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები არასერიოზულად ეკიდებიან საარჩევნო კამპანიის ორგანიზაციულ საკითხებს. ორჯონიკიძის რაიონში ამომრჩეველთა სიებში არ შეუტანიათ 727 ამომრჩეველი. საჭირო გახდა დამატებითი სიების შედგენა. ამავე რაიონის მე-31 საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სიებში, რომლებიც გასაცნობად არის გამოკიდებული, მრავალი შეცდომაა დაშვებული. აღმოჩნდა, რომ სიებში გამოტოვებულია ათობით ამომრჩევლები, დამახინჯებულია მრავალი სახელი, მამის სახელი, გვარი.

დღემდე ყველა საუბნო კომისიისათვის როდი გამოუყვიათ სადგომები. მე-31 უბნის საარჩევნო კომისიას მხოლოდ გუშინ მისცეს ოთახი. მე-23 საარჩევნო უბნის სადგომში არ არის ტელეფონი.

გმირული წარსულის შესანიშნავი ძეგლი

სამი თვის წინათ, 20 აგვისტოს გაიხსნა ავლაბრის აღდგენილი სტამბა, რომელიც შეიქმნა და მუშაობდა ხალხთა გენიალური ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

ათვალიერებ ამ სტამბას და თვალწინ გიდგება ბოლშევიკების რევოლუციური ბრძოლის სტალინური სკოლა, მოხერხებული ბოლშევიკური კონსპირაცია, რომლის საშუალებითაც ბოლშევიკები ცარიზმთან შეტაკებისათვის ემზადებოდნენ.

სტამბის ზედა სართულის ოთახები სახლის „დიასახლისს" ბაბე ლაშაძე-ბოჭორიძეს ეკუთვნოდა. ახლა კი აქ მოთავსებულია ბოლშევიზმის ისტორიის, დიდი სტალინის რევოლუციური ბიოგრაფიის დოკუმენტები და ილუსტრაციები.

პირველ ოთახში შესვლისას თვალში გეცემათ მხატვარ ვ. ჯაფარიძის სურათი — „სტამბის ზედა ოთახი, რომელიც ეკავა ბაბე ლაშაძე-ბოჭორიძეს". სურათზეა — ჩვეულებრივი მობინადრის ყოველდღიური მოწყობილობა. ვინ მოიფიქრებს, რომ ტახტზე წამოწოლილი ბაბე ყოველ წუთს მზად არის ელექტრონის ზარით მისცეს სიგნალი სტამბის მუშებს რაიმე მოსალოდნელი საფრთხის შესახებ.

კასპის ქუჩაზე მდებარე თითქოს წყნარი სახლი იყო არა მარტო ბოლშევიკური არალეგალური ბეჭდვითი სიტყვის ბაზა, არამედ იგი სამხედრო ხელმძღვანელების მომზადების ცენტრსაც წარმოადგენდა. ამაზე ლაპარაკობს კედელზე გაკრული ისტორიული ცნობა. აქ 1906 წლის მარტიდან 13 აპრილამდე მიმდინარეობდა სამხედრო-ტექნიკური მეცადინეობა, რასაც ბოლშევიკების წინადადებით აწარმოებდა რსდმპ თბილისის კომიტეტი. ჯგუფი სწავლობდა პარტიზანული ბრძოლის მეთოდებს და ყუმბარების დამზადებას.

ამავე ოთახში ჰკიდია მხატვარ ფეფხვაძის სურათი, რომელიც გადმოგვცემს ჟანდარმერიის მიერ ავლაბრის სტამბის განადგურების ამბავს.

მეორე ოთახი სავსეა სტამბაში დაბეჭდილი გამოცემებითა და სხვადასხვა ისტორიული დოკუმენტებით.

საბჭოთა კავშირის მშრომელები, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, რომლებიც სწავლობენ ბოლშევიზმის ისტორიას, უდიდესი ინტერესით მიმართავენ ხოლმე იმ ადგილებსა და ძეგლებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ბოლშევიკური პარტიის გმირულ ისტორიასთან. ავლაბარში, კასპის ქუჩაზე, იქ, სადაც წინათ არალეგალურად მომუშავე ბოლშევიკებს ცარიზმის საშინელი რეპრესიების პირობებში უხდებოდათ მტრის გამანადგურებელი ბოლშევიკური სიტყვის გამოჭედვა, ყოველდღიურად აუარებელი ხალხი იკრიბება. აქ, ლენინ-სტალინის ბეჭდვითი სიტყვის სახელოვანი ისტორიის შესანიშნავი ძეგლის დასათვალიერებლად მოდიან თბილისის და მთელი საქართველოს მშრომელები, ახალგაზრდობა, ექსკურსანტები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ხარკოვიდან, ბაქოდან, ხაბაროვსკიდან და საბჭოთა კავშირის სხვა შორეული კუთხეებიდანაც. ამ დღეებში ისტორიული სტამბა დაათვალიერა საოქტომბრო ზეიმზე ჩამოსულ ესპანელთა დელეგაციამ. აქ მოდიან საქართველოში ჩამოსული უცხოელი ტურისტები და სხვადასხვა წარმომადგენლები. კასპის ქუჩას ასეთი გაცხოველებული მოძრაობა არასოდეს არ ახსოვს. სამი თვის განმავლობაში აღრიცხულია 26 ათასამდე დამთვალიერებელი.

შთაბეჭდილებათა სქელტანიანი წიგნი უკვე დასასრულს უახლოვდება. ამ წიგნში თავიანთი აღტაცებული აზრები ავლაბრის სტამბის დათვალიერების გამო ჩასწერეს მოსკოველმა ინჟინერმა და ხარკოველმა მელითონემ, ლენინგრადელმა ელექტრიკოსმა და კიეველმა პედაგოგმა, ბათომელმა მეზღვაურმა და ბაქოელმა მბურღავმა, რკინიგზის სტახანოველმა და წითელმა მესაზღვრემ, ესპანელმა მასწავლებელმა და ჩინელმა მუშამ.

სტალინგრადიდან ჩამოსული სტახანოველი შთაბეჭდილების წიგნში სწერს: „თვითეული ადამიანისათვის, რომელიც სწავლობს პარტიის ისტორიას, მასთან ერთად ბოლშევიკური პრესის ისტორიას, ავლაბრის რესტავრირებული სტამბა წარმოადგენს მშვენიერ, თვალსაჩინო ისტორიულ სახელმძღვანელო-სახსოვარს".

დამთვალიერებელთა საერთო აზრი საუცხოოდ გამოსთქვა წითელი არმიის № ნაწილის მეთაურებისა და მეომრების ჯგუფმა:

„№ სამხედრო ნაწილის მეომართა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა ჯგუფმა უდიდესი ყურადღებითა და ინტერესით დაათვალიერა ავლაბრის რესტავრირებული სტამბა.

ვუძღვნით ჩვენ დიდ მადლობას საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და პირადად ამხ. ლავრენტი ბერიას, რადგან ახლა ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა დაწვრილებით გავეცნოთ ბოლშევიკური პარტიისა და ხალხთა ბელადის ამხანაგი სტალინის გმირული იატაკქვეშა მუშაობის პირობებს".

დამთვალიერებლები შთაბეჭდილებასთან ერთად წიგნში სწერენ თავიანთ წინადადებებს. მათი დიდი უმრავლესობა მოითხოვს სტამბის ცნობარის გამოშვებას, რაც ძალიან გააადვილებს ისტორიულ ძეგლის დათვალიერებას, მისი ღრმა მნიშვნელობის გაგებას.

სხვადასხვა მხრიდან ჩამოსულები მოითხოვენ როგორც სადგურზე, ისე აზერბაიჯანისა და კასპის ქუჩებს შორის სტამბის მდებარეობის მაჩვენებელი დაფის მოწყობას. ისინი მოითხოვენ აგრეთვე კასპის ქუჩის დასაწყისთან ტრამვაის გასაჩერებელის მოწყობას.

მშრომელთა ინტერესი სტამბის დათვალიერებისადმი იმდენად დიდია, რომ სტამბის შენობა, განსაკუთრებით დასვენების დღეებში, გაჭედილია ხალხით. როგორც დამთვალიერებლები მოითხოვენ, საჭირო იქნება დასვენების დღეს სამუშაო საათების გადიდება.

ყველა ამ წამოჭრილი საკითხების მოგვარებასთან ერთად მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველჰყოს მუზეუმში სომხური ენის მცოდნე ლექტორების დანიშვნა. დამთვალიერებელთა შორის ბევრნი არიან ისეთები, რომლებმაც სომხურის გარდა სხვა ენა არ იციან.

ავლაბრის არალეგალური სტამბა—დიდი სტალინის ეს მშვენიერი პირმშო, რომელიც რესტავრირებულია დიდი ბელადის საუკეთესო მოწაფის ამხანაგ ლ. ბერიას ინიციატივით, საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ბოლშევიზმის დაუფლებისათვის.

გ. დავითაშვილი

დაუდევრობა მანდარინის დამზადებაში

(ბათუმი, „კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტისაგან)

— როგორ მიმდინარეობს რაიონში მანდარინის დამზადება?

— არა უშავს რა. უკანასკნელი ოპერატიული ცნობები გვაკლია. მალე მივიღებთ და დავაჯამებთ.

— რამდენი ავტომანქანა აკლია რაიონს, რა მდგომარეობაა ტარისა და ქაღალდის მომარაგების მხრივ, აქვთ თუ არა დამამზადებელ ორგანიზაციებს გამომუშავების ნორმები და სატარიფო განაკვეთები, ან როგორ სრულდება დამზადების კალენდარული გეგმები?

— ამაზე ვერაფერს გეტყვით, ადგილებს ცნობები ამის შესახებ არ გადმოუგზავნიათ!

— თქვენ ხომ დადიხართ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, იქ მაინც გაეცნობოდით საქმის ვითარებას!

— მანდარინის დამზადებაზე სოფლებში მხოლოდ ერთხელ ვიყავი და მაშინაც არავის უთქვამს რაიმე ამის გარშემო!

ასეთ პასუხს იძლევა ჩვენს შეკითხვებზე დამზადებათა კომიტეტის ბათუმის რაიონის რწმუნებული ამხ. ჩამოლლი.

ჩამოლლი არავითარ ცოცხალ ხელმძღვანელობას არ უწევს ადგილებს. იგი დილიდან საღამომდე არხეინად ზის კაბინეტში და მთელ დროს ანდომებს ტელეფონით მიღებული დამზადებათა ოპერატიული ცნობების შეჯამებას.

ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ ბათუმის რაიონში მანდარინის დამზადება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. როგორც შემოწმებამ დაადასტურა, ამ მხრივ აქ დიდ უყურადღებობასა და დაუდევრობას იჩენენ.

აი ფაქტებიც:

აჭარის მიწსახკომის პირველ საბჭოთა მეურნეობას, რომელმაც სახელმწიფოს წელს 15 მილიონი ცალი მანდარინის ნაყოფი უნდა ჩააბაროს, აკლია 130 მუშა. მუშებიც რომ დაიქირაონ, მათთვის მეურნეობას ბინები არ მოეპოვება. ძველს ბინებში წვიმა ჩამოდის, მათს შეკეთებაზე კი არავინ ზრუნავს.

საბჭოთა მეურნეობების ტრესტს ამ მეურნეობაში გახსნილი აქვს მიმღები და გადამმუშავებელი ფარდული, მაგრამ იგი ძალიან ვიწროა და დამზადებულ მანდარინს ვერ იტევს. ამიტომ საბჭოთა მეურნეობა იძულებულია ყოველდღიურად 500-600 ათასი ცალი მანდარინი პლანტაციებში მოწყობილ ღია ფარდულებში დააგროვოს.

მახინჯაურის მიმღებ პუნქტს მუშახელი არ ჰყოფნის. ამიტომ აქ დღეში 9 ვაგონის ნაცვლად 4 ვაგონი მანდარინის გადამუშავებას ძლივს ასწრებენ. მახინჯაურში არც გადამუშავების ხარისხს აქცევენ ჯეროვან ყურადღებას. რამდენიმე დღის წინათ ორი ვაგონი დაუხარისხებელი მანდარინით სავსე ყუთებით დატვირთეს. ხარისხის სახელმწიფო ინსპექტორის შემოწმებით დატვირთული მანდარინის 12 პროცენტი სრულიად უვარგისი აღმოჩნდა. ეს რომ დროზე არ შეემჩნიათ, უვარგისი მანდარინი გზაში აუცილებლად კარგსაც გააფუჭებდა.

აჭარკოოპკავშირის ბათუმის მიმღები პუნქტის არცერთ მუშას არ გაუვლია სანიტარული შემოწმება. გადამმუშავებელ ფარდულში მოწყობილი არ არის ელექტროგანათება, ამის გამო შეუძლებელი ხდება ორცვლიანი მუშაობა. იქ, სადაც სასწორი დგას, ღია ფარდული უნდა მოწყობილიყო, მაგრამ ეს არ შეასრულეს. ჩამბარებლებს კი წვიმიან დღეებში ცის ქვეშ უხდებათ დგომა.

აჭარკოოპკავშირის დამზადებათა სამმართველოს უფროსი ამხ. დევაძე თავს ვერ ართმევს მუშაობას. მას ჯერაც არ გაუგზავნია მიმღებ-გადამმუშავებელი პუნქტებისათვის გამომუშავების ნორმები და სატარიფო განაკვეთები. მუშებმა ახლაც არ იციან, რამდენი ცალი მანდარინი უნდა გადაამუშაონ დღეში, ან რა გასამრჯელოს მიიღებენ.

იყო ასეთი შემთხვევაც: 14 ნოემბერს აჭარკოოპკავშირის მახინჯაურის მიმღებ-გადამმუშავებელი პუნქტიდან რკინიგზით 6 ვაგონი მანდარინი ისე გაგზავნეს, რომ ვაგონებისათვის გამცილებლები არ გაუყოლებიათ. მანდარინით დატვირთული ვაგონები კი ამ მიზეზით ორი დღე სამტრედიის სადგურში იდგა.

მანდარინის დამზადების მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც ქობულეთის რაიონშია.

ავიღოთ თუნდაც სოფ. ხუცუბნის მიმღები პუნქტი, რომელიც აჭარკოოპკავშირს ეკუთვნის. ამ პუნქტს მანდარინის დამზადების წლიური გეგმა 16 ნოემბრისათვის 26,7 პროცენტით ჰქონდა შესრულებული. დამზადებული 256 ტონა მანდარინიდან 52,4 ტონა არაკონდიციურია. პუნქტს აკლია 70 მუშა, რაც იწვევს გადამუშავების შეფერხებას. 12 და 13 ნოემბერს საწყობი ისე გადაიტვირთა გადაუმუშავებელი მანდარინით, რომ იძულებული გახდნენ დროებით შეეჩერებინათ მიღება. ჩამბარებლები კი დღეობით იდგნენ რიგში, ვიდრე საწყობი განთავისუფლდებოდა. ეს მდგომარეობა ამჟამად ნაწილობრივ გამოსწორებულია, მაგრამ ეს კვლავ განმეორდება, თუ მუშა-ხელისა და ტრანსპორტის საკითხი დაჩქარებით არ მოაწესრიგეს.

გეგმით ხუცუბანში წელს დამზადების სეზონის დაწყებამდე ტარის საწყობი უნდა აგებულიყო. ეს საქმე აქ ძალზე გააჭიანურეს. ინჟინერმა ფალავამ საწყობის კედლები ამოიყვანა და ამით დაკმაყოფილდა. დაუხურავ საწყობში გამზადებული ყუთები და საყუთე მასალა დააწყეს. მოვიდა წვიმა და 8.000 ყუთი და თითქმის ამდენივე საყუთე მასალა ისე დასველდა, ობი მოიკიდა და გაფუჭდა, რომ მათი გამოყენება წელს შეუძლებელია. ეს აშკარა დანაშაულებრივი უყურადღებობის შედეგია.

არც ციხისძირის მიმღებ პუნქტშია ყველაფერი რიგზე. ციხისძირის საბჭოთა მეურნეობა ამ პუნქტს დაუმწიფებელ, მწვანე მანდარინის ნაყოფს აბარებს. პუნქტი კი მწვანე მანდარინს ხელოვნურად, სითბოს საშუალებით აყვითლებს, რაც იწვევს ხარისხის დაცემას.

ციხისძირის მიმღებ პუნქტს სამი დამხარისხებელი მანქანა აქვს. ამ მანქანებს ორცვლაზე მუშაობით შეუძლიათ დღეში 900 ათასი ცალი ნაყოფის დახარისხება და 90 მუშის მაგიერობის გაწევა. მიუხედავად მექანიკურად დამხარისხებელი მანქანის ასეთი ღირსებისა, იგი ჯერაც არ არის გამოყენებული. ერთი მანქანა 16 ნოემბერს აამუშავეს და ისიც რამდენიმე საათით, ხოლო დანარჩენები ჯერ არც კი გაუმართავთ.

○

ბათუმისა და ქობულეთის რაიონებმა წელს სახელმწიფოს 211 მილიონი ცალი მანდარინის ნაყოფი უნდა ჩააბარონ, რაც მთელი რესპუბლიკის გეგმის 70 პროცენტს უდრის. კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნენი და ერთპიროვნული მეურნენი დიდი ხალისით აბარებენ მანდარინს სახელმწიფოს, მაგრამ დამზადებისა და გადამუშავების ცუდ ორგანიზაციას, რასაც ამჟამად აქ ვხვდებით, შესაძლებელია შედეგად მოჰყვეს ამ სავსებით რეალური გეგმების შესრულების შეფერხება.

ბათუმის და ქობულეთის რაიონულ ორგანიზაციებს მეტი მუშაობა მართებთ ამ მხრივ. მანდარინის უხვი მოსავალი უდანაკარგოდ უნდა ავიღოთ.

ტ. აცანელი

კასპის რაიონის სოფ. დოესის კოლმეურნეობა „შრომის სხივის" ცნობილი კოლმეურნე სტახანოველი. ჯგუფის ხელმძღვანელი მართა ბეგლარაშვილი
ფოტო ვ. კადეტოვის („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

კოლმეურნეობის უდარდელი ხელმძღვანელები

(ახალქალაქი, „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სოფ. ბეჟანოს კოლმეურნეობაში 260 კომლია გაერთიანებული. კოლმეურნეობა 1930 წელს ჩამოყალიბდა. ბეჟანოელები მუყაითი და შრომისმოყვარე ხალხია, ისინი მტკიცედ მიდიან წინ შეძლებული საკოლმეურნეო ცხოვრებისაკენ, მაგრამ კოლმეურნეობის უხეირო ხელმძღვანელები აფერხებენ კოლმეურნეთა წინსვლას და საკოლმეურნეო სოფლის კეთილმოწყობას.

სოფ. ბეჟანოს სრულიად არ ატყვია კეთილმოწყობა. გზები შესაკეთებელია, არ არის კოოპერატივი, სამკითხველო, საექიმო პუნქტი. მთელ სოფელში ერთი რადიო იყო და ახლა ისიც სდუმს.

სოფლის არასრულ საშუალო სკოლას არა აქვს ჩეირიანი ბინა, სათანადო სასწავლო კაბინეტი და ლაბორატორიები.

სოფელში ბევრია წერაკითხვის უცოდინარი, მაგრამ მათზე არავინ ზრუნავს.

უყურადღებობისა და უზრუნველობის შედეგად წელს კოლმეურნეობას 65 ბატკანი და 3 ხბო მოუკვდა. კოლმეურნეობის ყოფილ თავმჯდომარეს თამამიანს, რომელიც ამასწინათ ახალქალაქის პარტრაიკომის პროპაგანდისტად დააწინაურეს, გული არ შესტკიოდა კოლმეურნეობის საქმეებზე. მისი დაუდევრობით უგზო-უკვლოდ დაიკარგა 3.065 კილოგრამი ფიგის თესლი და 50 კილოგრამი მატყლი.

კოლმეურნეობას 15 სული ფაშატი ჰყავდა. მათგან ერთი ისე დაიკარგა, რომ არავინ იცის მისი გზაკვალი. გასულ წელს, კოლმეურნეობის ლოყლაპია ხელმძღვანელის თამამიანის დაუდევრობის შედეგად, გაფუჭდა 1100 კილოგრამი თივა და 20.000 კილოგრამი ნამჯა.

კოლმეურნეობაში ყურადღებას არ აქცევენ საკოლმეურნეო ქონების დაცვას. კოლმეურნეებმა მამიკონ მარტიროსიანმა, არამ გაროიანმა და გარეგინ გრიქორიანმა ქალოდან 100 ფუთი ხორბალი მოიპარეს. ქურდებს დანაშაულზე წაასწრეს, მაგრამ მათ პასუხი არავინ მოსთხოვა. ეს ვაჟბატონები დღესაც დაუსჯელნი არიან და კოლმეურნეობაშიც ირიცხებიან.

[illegible] კოლმეურნეობის „ახალშენდე[illegible]ლი თავმჯდომარე ამაზარ მელქონიანი მუშაობს უნარიანად. მას კოლმეურნეობისა ჰმართებს 2.000 მანეთი, რომლის დაფარვაზეც თავს არ იწუხებს.

საერთოდ აქ უხეშად ირღვევა საფინანსო დისციპლინა. სოფ. ვარევანის კოლმეურნეობის მოანგარიშეს ხუდავერდიანს ბეჟანოს კოლმეურნეობის 700 მან. ჰმართებს, მაგრამ იგი არ ფიქრობს ამ თანხის გადახდაზე.

ახალქალაქის რაიმიწგანი სოფ. ბეჟანოს კოლმეურნეობას სას.-სამ. მანქანა-იარაღებს დაჰპირდა, რისთვისაც მან კოლმეურნეობიდან 550 მან. წაიღო. მიწგანს კი კოლმეურნეობისათვის არც იარაღები მიუცია და არც ფული დაუბრუნებია უკან. გარდა ამისა, სხვადასხვა პირებზე კოლმეურნეობიდან 2013 მანეთია გაცემული, რაც დღემდე არ გაუნაღდებიათ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამაზარ მელქონიანის დაუდევრობით წელს 25 ჰექტარი ნათესი ბალახი გაფუჭდა, ეს მაშინ, როდესაც კოლმეურნეობას განსაზოგადოებული პირუტყვისათვის საკმაო რაოდენობით არა აქვს საკვები.

კოლმეურნეობის განსაზოგადოებული პირუტყვის 70 პროცენტს არა აქვს საერთო ბოსელი. პირუტყვი დაქირავებულ ბოსლებშია მოთავსებული, სადაც მათ მზრუნველობა და მოვლა-პატრონობა აკლიათ. ამის გამო არის ბატკნებისა და ხბოების დახოცვის შემთხვევები.

სოფ. ბეჟანოს კოლმეურნეობაში სრულიად-საკავშირო სას.-სამ. გამოფენისათვის მზადებაზე თავიც არ შეუწუხებიათ. მოუწესრიგებელია შრომადღეების აღრიცხვა, უხეშად ამახინჯებენ სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინურ წესდებას.

კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიამ ამ უმსგავსოებათა შესახებ დროულად აცნობა საქ. კ. პ. (ბ) ახალქალაქის რაიკომს და რაიაღმასკომს. მაგრამ ეს უკანასკნელნი რატომღაც სდუმან.

გრ. ლომიძე

ცნობები კოლმეურნეობებიდან

უყურადღებოდ მიგდებული საქმე

ცაგერი. რაიონში საუკეთესო პირობები არსებობს მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის, მაგრამ მას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, არ ზრუნავენ თუთის ხის გაშენებაზე. რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები თუთის ხის საკითხს მაშინ აყენებენ ხოლმე, როცა აბრეშუმის ჭიას გამოკვება ესაჭიროება, შემდეგ კი ისევ ივიწყებენ.

ეს დარგი არც შერჩეული კადრებით არის უზრუნველყოფილი. მაგალითად, რაიაბრეშუმის კანტორაში მომუშავე ვერა ახვლედიანმა სოფელ ორბელის მეაბრეშუმეებს აბრეშუმის თესლი აუწონავად მისცა. როცა კარგი მოსავალი მიიღეს და საქმე ჯილდო-წანამატის გაცემაზე მიდგა, ახვლედიანმა ზოგიერთ მეაბრეშუმეს თესლის რაოდენობა საკონტრაქტაციო ხელშეკრულების ბლანკზე მექანიკურად გადაუსწორა. რაიონმა წელს ჭიის გადასაყვანი ქაღალდი საკმაო რაოდენობით მიიღო, მაგრამ ქაღალდს მეაბრეშუმეებამდე არ მიუღწევია. ვ. ახვლედიანმა ქაღალდი სხვა საქმეზე გამოიყენა.

სოფ. ორბელის პარკის მიმღები პუნქტის მოანგარიშე შ. მეგრელიშვილი ყოფილი ვაჭარია. მეაბრეშუმეებს იგი ხშირად ატყუებდა წონაში და აკლებდა ხურდას; ამით იგი უკმაყოფილებას ჰქმნიდა მეაბრეშუმეთა შორის. მაგრამ აფერისტ მეგრელიშვილს პასუხს არავინ სთხოვს.

კირილე ბურჯალიანი

○

საკოლმეურნეო შრომის ძალა

საგარეჯო. ალექსი ჭიაბერაშვილი სოფელ გიორგიწმინდის კოლმეურნეობის წევრია. ნამდვილი ადამიანური ცხოვრება მას საკოლმეურნეო შრომამ მიანიჭა.

შარშან ჭიაბერაშვილმა 300 შრომადღე გამოიმუშავა, წელს კი გამომუშავებული აქვს 400. ალექსიმ საკოლმეურნეო შემოსავლით მშვენიერი სახლი აიშენა და კარმიდამოც ლამაზად მოაწყო. კოლმეურნეობაში მას წერა-კითხვაც შეასწავლეს. ახლა იგი აპირებს საშუალო სასწავლებელში მოეწყოს და იმავე დროს არც კოლმეურნეობაში შესწყვიტოს მუშაობა. ალექსი გამომუშავების ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს. იგი ნამდვილი სტახანოველია.

დ. ფაცაცია

○

გადამყიდველებს ხელს უწყობენ

ხაშური. სოფ. აბისის და რაიონის მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში საშემოდგომო ხვნა-თესვის ვადები უხეშად დაარღვიეს.

გეგმის შეუსრულებლობა გამოიწვია იმან, რომ კოლმეურნეობაში დაბალი იყო შრომის დისციპლინა. გადამყიდველები და გამოუსწორებელი დეზერტირები წერეთელი, კოჭუაშვილი და კილასონია ამას წინათ კოლმეურნეობიდან გარიცხეს. გამგეობამ კი მათ ყალბი მოწმობა მისცა, თითქოს საკუთარი პროდუქტები მიჰქონდათ გასასყიდად ბაქოსა და ბათუმში. ნამდვილად კი ამ სპეკულანტებმა პროდუქტები გლეხებისაგან იყიდეს და რკინიგზის სადგურამდე კოლმეურნეობის ავტომანქანით გადატანაც მოახერხეს.

ბ. ფულეისკირი

შრომადღეზე 20 მანეთს ღებულობენ

ლაგოდეხი (საკ. კორ.). სოფ. ჩადუნიანის კოლმეურნეობა „წითელმა დროშამ" 17 ტონის ნაცვლად დღემდე სახელმწიფოს ჩააბარა 36 ტონა თამბაქო. კოლმეურნეობამ დიდად ასწია თამბაქოს ხარისხი და მოსავლიანობა. მაგალითად, პირველი ხარისხის თამბაქოს ჩაბარების გეგმას აქ შვიდჯერ გადააჭარბეს, მეორე ხარისხისას—თერთმეტჯერ, მეოთხე და მეხუთე ხარისხისა კი სრულიად არ არის.

შარშან აქ ჰექტარზე საშუალოდ მიიღეს 21 ცენტნერი თამბაქო, წელს კი—22. ხარისხი ათჯერ უკეთესია. შარშან შრომადღეს 14 მანეთი ხვდა, წელს კი—20 მანეთზე მეტი. სტახანოველი კოლმეურნეები შაქრო ზურაბაშვილი და ალექსი რაზინკო დღემდე გამომუშავებულ შრომადღეებზე წლის ბოლოს მიიღებენ თვითეული 10.000 მანეთს, ვასილ კონდრატიუკი—6.440 მანეთს, ანა ფედერენკო—5.000 მანეთს.

ამ კოლმეურნეობაში ახლა ენერგიულად ემზადებიან სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის. ჩამოყალიბებულია არჩევნების დებულების შემსწავლელი 3 წრე. გახსნილია აგრეთვე წერაკითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლები.

დ. ბატიაშვილი

○

მაღალი შემოსავალი

წულუკიძე. სოფელი გორდი წინათ ერთერთ ჩამორჩენილ და მივარდნილ კუთხეს წარმოადგენდა. ახლა კი სულ სხვა მდგომარეობაა. 7 წლის წინათ სოფელში ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა, რომელშიც 170 კომლია გაერთიანებული. წინანდელი ღარიბები საკოლმეურნეო შრომით წელში გაიმართნენ. გრიგოლ, კოლია და დომენტი ქართაძეებმა, ბესარიონ ბობოხიძემ და სხვებმა ორსართულიანი სახლები აიშენეს. კოლმეურნეები იძენენ რკინის საწოლებს, შიფონერებს, პატეფონებს, ვენურ სკამებს და სხვა ძვირფას საოჯახო ნივთებს.

კოლმეურნეობაში ფართოდაა გაშლილი სტახანოვური მოძრაობა. გრიგოლ ბობოხიძის საკოლმეურნეო ბრიგადა მთლიანად სტახანოვურია. იგი ყოველგვარ დავალებას 150—200 პროცენტით ასრულებს. წელს აქ შრომადღეს 15 კილოგრამი სიმინდი ხვდა, შარშან კი—4 კილოგრამზე ცოტა მეტი.

შ. ბობ[illegible]

○

მერი[illegible]ნში იმნაძის გამოგონება

ლანჩხუთი. ნიგვზიანის ჩაის ფაბრიკის მემანქანემ კომკავშირელმა გერონტი იმნაძემ გამოიგონა ჩაის უხეში ფოთლის გადამმუშავებელი ხის წისქვილისებური მანქანა, რომელიც ტონა პროდუქციის გადამუშავებაზე იძლევა 97 მუშა-ხელის ეკონომიას და საგრძნობლად აუმჯობესებს ხარისხს.

წინასწარი გამოანგარიშებით, იმნაძის გამოგონება მარტო ნიგვზიანის ფაბრიკას ყოველწლიურად მისცემს 30.000 მანეთის ეკონომიას. საჭიროა ამ გამოგონების გულდასმით შესწავლა და მისი ფართოდ გამოყენება.

ივ. შევარდნაძე

ს. იორდანიშვილი

„ვეფხის-ტყაოსნის" თარგმანები ევროპულ ენებზე

პირველი ევროპელი მეცნიერი, რომელმაც რუსთაველი კვლევის საგნად დაისახა, იყო მარი ბროსე (1802—1880).

მან, ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერმა, ფრანგულ ჟურნალის „ნუვო ჟურნალ აზიატიკ"-ის ფურცლებზე (1828-31 წლებში) მოათავსა წერილები ქართული ლიტერატურის შესახებ და კერძოდ „ვეფხისტყაოსანზე". მანვე მოგვცა პირველი პროზული თარგმანი „ვეფხისტყაოსნის" დასაწყისი სტროფებისა, პირველი თავისა და შეადგინა მოკლე შინაარსი ფრანგულ ენაზე.

ბროსე ამზადებდა „ვეფხის-ტყაოსნის" სრულ თარგმანს. ამის შესახებ იგი სწერდა ჯერ კიდევ 1841 წელს, ზაქარია ფალავანდიშვილისა და დავით ჩუბინოვის თანარედაქტორობით გამოცემულ „ვეფხის-ტყაოსნის" წინასიტყვაობაში: „თუ ოდესმე დაიბეჭდება თარგმანი რამე „ვეფხის-ტყაოსნისა" (როგორც გამიგონია, რუსულად ითარგმნება ვისგანმე და მეც ფრანციულად ვამზადებ), იმედი მაქვს, რომ სიხარულით მიიღონ ევროპაში".

ბროსემ შემდეგში ეს თავისი ფრანგული თარგმანი აღარ გამოაქვეყნა, უთუოდ იმის გამო, რომ მისი საბოლოო რედაქციის დასრულება ველარ შესძლო, რადგან თავისი მუშაობის მთავარ საგნად ისტორიული კვლევაძიება და ძეგლების გამოცემა გაიხადა.

„ვეფხის-ტყაოსნისა" და რუსთაველისადმი მიძღვნილ ფრანგულ წერილებში ბროსე აღნიშნავდა როგორც პოემის ღირსებას, ისე მის ნაკლს. თხზულების ღირსება მან შემდეგში მკაფიოდ ჩამოაყალიბა 1841 წელს გამოცემული „ვეფხის-ტყაოსნის" წინასიტყვაობაში. „ვეფხის-ტყაოსანს" დიდ მხატვრულ ღირსებად მას მიაჩნდა: „სიტყვა აღრჩევით ნამჭევრობა, ჰაზრების მშვენიერად დაწმასვნა და ჭეშმარიტების მაღალ ფილოსოფიური მხატვრობა, მეორეც, კმასაყოფილი აღწერა რუსთაველის მიერ ზნეთა და შინაგანთა ცხოვრებათა ქართველთა. ამით ვამტკიცებ, რომ წიგნი ესე ქართულს ენაზე უებრო და უამხანაგოა, და ევროპაშიაც მისი უმჯობესი მრავალი არ მოიპოვება".

აღსანიშნავია, რომ ბროსემ ვერ დააინტერესა ვერც ერთი ევროპელი მეცნიერი და პოეტი რუსთაველის პოემით. როგორც ჩანს, თვით გოეთემაც კი, რომელიც ესოდენ ინტერესს იჩენდა აღმოსავლური პოეზიისადმი, ყურადღება არ მიაქცია ბროსეს წერილებს, რომლებიც მისი, გოეთეს, ცხოვრების მიწურულზე იბეჭდებოდა.

საფიქრებელია, რომ არც მეორე ფრანგული თარგმანი „ვეფხის-ტყაოსნისა", რომელიც შეასრულა ცნობილმა ქართველმა ლიტერატურის მკვლევარმა იონა მეუნარგიამ, იყო სანიმუშოთაგანი. ამ თარგმანის საშუალებით გაიცნო „ვეფხის-ტყაოსანი" მეორე უცხოელმა მკვლევარმა ბარონ სუტნერმა (1850-1902). მან წარსული საუკუნის ოთხმოციან წლებში რამდენიმე წერილი უძღვნა რუსთაველის პოემას ჩვენს რუსულსა და ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. იგი, სხვათა შორის, სწერდა: „ჩვენ უნდა გვიხაროდეს, რომ ჩვენს თვალწინ აღსდგება პოეზიის კიდევ ერთი რაინდი. რომლის არსებობა არ ვიცოდით, და რომელიც ღირსია დაიჭიროს ადგილი მსოფლიო დიდების პანთეონში".

იონა მეუნარგიას „ვეფხის-ტყაოსნის" ფრანგული თარგმანი რომ გამოქვეყნებულიყო, შესაძლებელია მკვლევარებს გამოეთქვათ თავიანთი აზრი ბ. სუტნერის მსგავსად, მაგრამ, სამწუხაროდ, იონა მეუნარგიას თარგმანი არამც თუ არ დაიბეჭდა, დღემდის გამოურკვეველია, რა ბედი ეწია მას.

მეუნარგიას თარგმანს არ იცნობს აგრეთვე არც მარჯორი სკოტ უორდროპი, „ვეფხის-ტყაოსნის" ინგლისურად მთარგმნელი, რომელიც განსვენებულ ი. მეუნარგიას სიცოცხლეში ორჯერ (1894 და 1896) იყო საქართველოში.

რუსთაველის პოემა ლექსად თარგმნილია გერმანულ ენაზე, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში. ეს თარგმანი შეასრულა გერმანელმა მწერალმა, ილია ჭავჭავაძის ცნობილმა მეგობარმა არტურ ლაისტმა (დაიბეჭდა 1889 წ.).

ლაისტის თარგმანი იწყება პირველი თავიდან, გამოტოვებულია დასაწყისის 31 სტროფი, ალბათ მთარგმნელმა ვერ დასძლია პოემის ეს ადგილი. თარგმანში რუსთაველის თექვსმეტმარცვლოვანი შაირისა და გრძელი შაირის ნაცვლად გამოყენებულია თერთმეტმარცვლოვანი ოქტავა, ჯვარედინად გამყოლი რითმით. ამ ზომით გადათარგმნილია პირველი ოთხი თავი პოემისა, შემდეგ მთარგმნელს დარითმული ოქტავები აღარ გამოუყენებია და მთელი დანარჩენი ნაწილი უთარგმნია თეთრი ლექსით, ალაგალაგ გამოუტოვებია სტროფები, ალაგალაგ ორი, ან მეტი შაირი გაუერთიანებია და სხვ.

თარგმანის დეტალურმა შესწავლამ გამოარკვია მრავალი გადახვევა დედნიდან. ალაგალაგ მთარგმნელი ზუსტი მხატვრული თარგმანის ნაცვლად იძლევა დედნის უბრალო პერიფრაზს, ამასთან ისე თავისებურად, რომ ხშირად ძნელი ხდება ამ ადგილებში რუსთაველის ცნობა.

ყველა ამ ნაკლის მიუხედავად, ლაისტის თარგმანი და მისი წერილები, რომლებიც მან უძღვნა ამ ძეგლს, საკმარისი იყო იმისათვის, რომ ევროპელ მკითხველებს ჰქონოდათ ზოგადი წარმოდგენა პოემის შინაარსსა და მის ავტორზე.

მთელმა მეცხრამეტე საუკუნემ, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანი იყო არაბეთის, ირანისა და ინდოეთის ყველა ცნობილი პოეტების ევროპულ ენებზე თარგმნისა და მონოგრაფიული შესწავლის საქმეში, ისე გაიარა, რომ რუსთაველის პოემას არ ეღირსა ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფილებელი თარგმანი არც რუსულსა და არც ევროპულ ენებზე. მაშინ, როდესაც აღმოსავლეთის ლიტერატურის შესწავლის სარბიელზე მოღვაწეობდნენ ისეთი მეცნიერები, როგორიც იყვნენ: მოლი, ნოლდეკე, ეთე, შაკი, ფიცჯერალდი და სხვა, — რუსთაველს არ აღმოაჩნდა მათი ტოლი შემსწავლელი, რომ აღმოსავლელ თანამოძმეებთან ერთად ისიც შესულიყო ევროპაში.

იმ დროს არც რუსეთისა და არც ქართველ მეცნიერებს თითქმის არა მიუწვდიათ რა დასავლეთ ევროპის ლიტერატურათმცოდნეთათვის რუსთაველისა და მის პოემის შესასწავლად. ეს ხარვეზი ნაწილობრივ შევსებულ იქნა მხოლოდ მეოცე საუკუნის პირველ ათეულში.

1912 წ. გამოვიდა პოემის ინგლისური პროზული თარგმანი, მარჯორი სკოტ უორდროპის (1869-1909) მიერ შესრულებული. თარგმანი შესრულებულია დიდი კეთილსინდისიერებით და თუ ალაგ-ალაგ გვხვდება არასწორი სტრიქონები და შეცდომები, — ყველაფერი ეს აიხსნება იმ დროისათვის „ვეფხის-ტყაოსნის" ტექსტის არასაკმარისი შესწავლილობით. ამჟამად, შესწორებათა და დამატებათა მიზნით, უორდროპის ინგლისური თარგმანი შედარებულია დედანთან, რომ თარგმანი იმ სახითაც, როგორც ეს დაგვიტოვა რუსთაველის სიყვარულით განათებულმა გონებამ, — წარმოადგენდეს ძვირფას განძს უცხოელების მიერ ქართული ლიტერატურის შესწავლის საგანძურში.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ უორდროპმა თავისი პროზული თარგმანით უფრო მეტი მასალა მისცა ევროპელ ორიენტალისტებს, ვიდრე ყველა მისი წინადროის მთარგმნელ-მკვლევარმა.

აღსანიშნავია, რომ პოეტი კ. ბალმონტი, რომელიც ჯერ კიდევ ინარჩუნებს „ვეფხის-ტყაოსნის" მხატვრული მთარგმნელის პირველობას, ვერ შესძლებდა ამ საპატიო საქმის შესრულებას, ინგლისური თარგმანით რომ არ ესარგებლნა.

„ვეფხის-ტყაოსნის" უცხო ენებზე თარგმანთა ეს მოკლე მიმოხილვა სრული არ იქნებოდა, თუ ორიოდე სიტყვას მაინც არ ვიტყვით მის უნგრულ თარგმანზე, რომელიც 1917 წელს გამოვიდა ბუდაპეშტში. ამ შემთხვევაში მთარგმნელი სამეცნიერო წრიდან გვევლინება. უნგრულად „ვეფხის-ტყაოსანი" (1915 წ.) სთარგმნა მხატვარ ზიჩის თანამემამულემ, ბუდაპეშტის სამეცნიერო აკადემიის წევრმა ორიენტალისტმა პროფ. ბელა ვიკარმა. თარგმანი შესრულებულია თექვსმეტმარცვლოვანი კატრენებით, ოთხი რითმის დაცვით. მოკლე წინასიტყვაობაში მთარგმნელი აღნიშნავს, რომ დედნის გაგებაში მას დახმარება გაუწია ვინმე გიორგი წიკლაურმა.

უნგრული ენის უცოდინარობისა გამო, სამწუხაროდ, არ შეგვიძლიან გამოვთქვათ ჩვენი აზრი ამ თარგმანის ღირსება-ნაკლოვანებათა შესახებ. ჩვენ დაგვრჩენია დავიმოწმოთ მხოლოდ ის აღტაცებული აზრი, რომელიც ამ თარგმანის შესახებ გამოსთქვა ქართული ენის კარგად მცოდნემ, გრაცის უნივერსიტეტის პროფესორმა ენათმეცნიერმა ჰუგო შუხარდტმა (1842—1927). მისი აზრით, ბელა ვიკარის თარგმანი მშვენიერია. ამ თარგმანს დიდი ინტერესით შეხვედრიან უნგრეთში. მთარგმნელის მოწმობით, თარგმანის მთელი ტირაჟი (1000 ცალი) ათიოდე დღეში გასაღებულა.

„ვეფხის-ტყაოსნის" ახლად შემზადებულმა ფრანგულმა თარგმანმა, რომელიც რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის დაკვეთით შესრულა პოეტესა ელისაბედ ორბელიანმა, პროფ. შალვა ნუცუბიძის რედაქციითა და ჩემი კონსულტაციით, უნდა შეავსოს ის ხარვეზი, რომელიც იგრძნობა რუსთაველის შესწავლის საქმეში ევროპასა და კერძოდ საფრანგეთში.

თარგმანის სრული შეფასება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მისი დაბეჭდვის შემდეგ.

ახლა კი შეიძლება ითქვას მხოლოდ, რომ ელისაბედ ორბელიანის მიერ შესრულებული „ვეფხის-ტყაოსნის" ფრანგული თარგმანით გადადგმულია პირველი ნაბიჯი ამ ნაწარმოების უცხო ენებზე ღირსეული მხატვრული თარგმანისათვის.

◆

საომარი მოქმედება ჩინეთში

შანხაის ფრონტზე

შანხაი, 18 ნოემბერი (საკდესი). უკვე რამდენიმე დღეა, რაც იაპონიის სამხედრო ფლოტი განუწყვეტლივ უშენს ყუმბარებს ფუშანს. ჩინეთის სანაპირო არტილერია აქტიურ პასუხს აძლევს და ხელს უშლის იაპონელთა მზადებას დესანტის გადმოსასხმელად. შანხაი-ნანკინის რკინიგზის გასწვრივ იაპონიის ჯარებმა გააფთრებული ბრძოლების შემდეგ ჩინეთიდან წაიწიეს პეიტინის სადგურამდე. ბრძოლები სწარმოებს პეიტინის აღმოსავლეთით. უკანასკნელ დღეებში იაპონელებმა ძიასინ-სუჯოუს რკინიგზის აღმოსავლეთით მდებარე რაიონში თავი მოუყარეს უდიდეს ფლოტს, რომელიც შესდგება მოტორიანი ნავებისაგან, სათევზაო ნავებისაგან და ტივებისაგან. ამ ფლოტის დანიშნულებაა გადაიყვანოს იაპონიის ჯარები ტაიხუს ტბის დასავლეთ ნაპირზე ნანკინ-ხანჯოუს გზატკეცილის რაიონში. ტაიხუს ტბის ნაპირებისაკენ გადასასვლელ ადგილებად იაპონელებს ნავარაუდევი აქვთ პირვანისა და უძიანის (პუნქტები ძიასინ-სუჯოუს რკინიგზაზე) რაიონის პუნქტები. დღეს დილით იაპონელებმა დაიკავეს პინვანი. უძიანის გარშემო შეუპოვარი ბრძოლა სწარმოებს. ტაიხუს ტბაზე იაპონელთა ოპერაციის წარმატებაზე არის დამოკიდებული, თუ რა ბედი ეწევა ჩინეთის მთელი თავდაცვის ხაზს ფუშანიდან ჯაპუმდე. ამ ოპერაციის თავიდან ასაცილებლად ჩინეთის სარდლობა დიდ ძალებს უყრის თავს ტბის დასავლეთ ნაპირზე.

ნანკინი, 19 ნოემბერი (საკდესი). წვიმების გამო დღეს სერიოზული ბრძოლები არ ყოფილა. ფუშანში გადმოსხეს დაახლოებით 1000 იაპონელი ჯარისკაცი.

იაპონიის სარდლობის წარმომადგენლის განცხადებით, იაპონელებმა შანხაისთან დაჰკარგეს 39.600 კაცი, აქედან დაახლოებით 10 ათასი კაცი მოკლულია, დანარჩენი დაჭრილი. ამას გარდა, იაპონიის ფლოტმა ამ ხნის განმავლობაში დაჰკარგა 1200 კაცი. ჩრდილო ჩინეთში,—განაცხადა იაპონიის წარმომადგენელმა, — იაპონიის ზარალი უდრის შანხაის ფრონტზე მიყენებული ზარალის 80 პროცენტს.

სენტრალ ნიუსის სააგენტო იუწყება, რომ დღეს შანხაიში ჩავიდა იაპონიის 3 ტრანსპორტი ორი ათასი ჯარისკაცით. სულ ნოემბრის პირველ ნახევარში იაპონელებმა შანხაიში გადაისროლეს 60 ათასზე მეტი ჯარისკაცი.

ჩრდილოეთ ჩინეთში

ლონდონი, 18 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ იაპონელთა დესანტის გადასხმა ჩიფუს ნავსადგურში (შანდუნის პროვინცია), როგორც სჩანს, აუცილებელია. ჩინეთის ძალებმა ჩიფუდან უკან დაიხიეს დასავლეთის მიმართულებით მას შემდეგ, რაც სცადეს აეფეთქებინათ ნავსადგურის ნაგებობანი, რომლებიც მხოლოდ მსუბუქად დაზიანდნენ. ინგლისის ნაღმოსანი „დაჩესი“ ჩავიდა ჩიფუში. ინგლისის ინტერესების დასაცავად.

ნანკინი, 19 ნოემბერი (საკდესი). ჩინელთა ცნობებით, ტაიუანში (შანსის პროვინციის დედაქალაქი) დაბანაკებულია იაპონიის ჯარების მე-6 ბრიგადა. ტაიუანის მახლობლად არსებული ფრონტის ხაზი გადის პისიანსა და პინჯენს შორის. უკანასკნელი დღეების განმავლობაში ამ ფრონტზე სიწყნარეა. შანსის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში პარტიზანებმა ხელთ იგდეს 42 საბარგო მანქანა. 15 ნოემბერს პარტიზანები ოთხჯერ დაესხნენ თავს იაპონიის ჯარებს იანმინგუანსა და გოხონს შუა. ამ თავდასხმების დროს მოკლულ იქნა დაახლოებით 200 იაპონელი ჯარისკაცი.

აჯანყებანი მანჯურიაში

ლონდონი, 19 ნოემბერი (საკდესი). გაზეთმა „ტაიმსმა“ მოათავსა საინტერესო ცნობა, რომელიც ადასტურებს წინანდელ ცნობებს, რომ ჩინეთში იაპონიის ჯარების ახალი შესევის შემდეგ მანჯურიაში ხდება ანტიიაპონური გამოსვლები და აჯანყებანი. კორესპონდენტს მოჰყავს უკანასკნელი ამბების შემდეგი დაწვრილებითი ცნობები, რომლებიც ადასტურებენ, რომ მანჯურიაში მერყევი მდგომარეობაა.

ივლისის დამლევს იაპონელთა სარდლობამ ჟეხეს დასავლეთ ნაწილში იაპონელი ოფიცრების სარდლობით გაგზავნა „დაწყნარების არმია“, რომელიც ჩინელებისაგან შესდგებოდა. არმია გაგზავნილი იყო ოპერაციებისათვის ჩინეთის ჯარების წინააღმდეგ. 17 და 21 აგვისტოს შუა მანჯურიის ეს ჯარები აჯანყდნენ ხეიდაინძის მახლობლად, ჩინეთის დიდ კედელთან, ჩახარის პროვინციის საზღვარზე. მოკლულ იქნა მრავალი იაპონელი ოფიცერი, მათ შორის გენერალ-მაიორი ფუძიი, მანჯურთა ნაწილების სარდალი.

აგვისტოს შუა რიცხვებში მოხდა მეორე სერიოზული აჯანყება ვეიჩანში, ჟეხეს ცენტრში, და, როგორც ფიქრობენ, აჯანყებულნი წავიდნენ სამხრეთით და შეუერთდნენ ჩინელთა ნაწილებს. აგვისტოს დამლევს იფეთქა მანჯურთა ნაწილების ახალმა დიდმა აჯანყებებმა დუნლინსა და ბეილინში, მუკდენის მიდამოებში, სადაც არის ყაზარმები. აჯანყებულთა და იაპონელ ოფიცერთა შორის სწარმოებდა ბრძოლები, რომლების დროსაც, ზოგიერთი ცნობით, მოკლულ იქნა დაახლოებით 100 იაპონელი ოფიცერი, 3 ათასმა აჯანყებულმა მანჯურმა ჯარისკაცმა დასტოვა ყაზარმები, ხელთ იგდო მრავალი იარაღი და სამხარი საჭურველი და მიიმალა მთებში ქალაქ ფუშუნის სამხრეთით. აქ ცოტა უფრო გვიან აჯანყებულებს შეუერთდა რამდენიმე ასი მანჯური პოლიციელი. ის რაიონი, რომელშიც ეს აჯანყებულნი ამჟამად მოქმედებენ, საერთოდ ითვლება „პარტიზანულ მხარედ“ საუკეთესო დროშიც კი. იაპონელებს ალბათ, აქ პარტიზანთა მოქმედების შედეგად დიდი სიძნელეები შეხვდებათ. ამჟამად, — განაგრძობს კორესპონდენტი, — პარტიზანები უკვე მოქმედებენ მუკდენიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით.

ჩრდილოეთ მანჯურიაში,—სწერს კორესპონდენტი,— აჯანყდნენ მანჯურთა მე-29 და მე-38 პოლკები. ძლიერი მღელვარებაა უსურისა და სუნგარის შუა მდებარე რაიონის მოსახლეობაში.

ფაშისტური გერმანიის შუამავლობა იაპონია-ჩინეთის კონფლიქტში

ლონდონი, 16 ნოემბერი (საკდესი). გაზეთ „დეილი ჰერალდის“ შანხაელი სპეციალური კორესპონდენტი ედგარ სნოუ იუწყება, რომ შანხაიში საქმესთან კარგად გაცნობილ მეთვალყურეებს შეუძლებლად მიაჩნიათ როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით ჰიტლერის შუამავლობა იაპონია-ჩინეთის კონფლიქტში. იაპონია, სწერს სნოუ, ჯერ კიდევ ვერ დაუახლოვდა გადამწყვეტ გამარჯვებას და ჩინეთის მთავრობას კიდეც რომ მოესურვებინა, იგი ვერ შესძლებდა აღმოეფხვრა ის საყოველთაო მისწრაფება იაპონიის აგრესიისათვის წინააღმდეგობის გაწევისაკენ, რომელიც ხალხში არსებობს. ჩინეთის არმიების განადგურება, რასაც მოელოდნენ, არ განხორციელდა, ამბობს სნოუ, და ამის შედეგად იაპონია სდგას იმ თვალუწვდენი კონტინენტის მიჯნაზე, რომელიც მის წინააღმდეგ ერთიანდება. ამავე დროს იაპონიის ზურგში იმყოფება მტრულად განწყობილი სამყარო, რომელშიც ჰქრებიან იაპონიისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე აზრები.

ის ზეგავლენა, რასაც ჰიტლერი ნანკინზე ახდენს, წარმოადგენს სიმპტომს, რომელიც მოწმობს სამი სახელმწიფოს შეშფოთებას იმის გამო, რომ იაპონია უძლურია მიიყვანოს ჩინეთში დაწყებული ავანტიურა დამაკმაყოფილებელ ბოლომდე.

დიდი ფაშისტური შეთქმულების აღმოჩენა საფრანგეთში

პარიზი, 19 ნოემბერი (საკდესი). გრძელდება იმ შენობების ჩხრეკა, სადაც ფაშისტ შეთქმულებმა იარაღის საწყობები მოაწყეს.

სამდინარო ტრანსპორტის კანტორაში, ჟან ბოზირის ქუჩაზე, აღმოაჩინეს 11 იტალიური შაშხანა, 5 გერმანული წარმოშობის შაშხანა, 1.478 გრანატი, 17 სანადირო თოფი და სხვ.

პოლიციამ ლიონსა, მარსიოსა, ლილსა, ავინიონსა და სხვა ქალაქებში დაგზავნა სპეციალური ინსპექტორები საქმის გამოსაძიებლად და ოპერაციების ჩასატარებლად.

ევრი-ტრიბურგის სასახლეში მომხდარი გაჩხრეკის შედეგებთან დაკავშირებით, გაცემულია ბრძანება ამ სასახლეს პატრონის იუბერ პასტრეს დაპატიმრების შესახებ. დაპატიმრებულია აგრეთვე ზემო აღნიშნული სატრანსპორტო კანტორის პატრონი მაულერი.

გაზეთი „ევრი“ სწერს საფრანგეთის ფაშისტური შეთქმულების „ნათესაობაზე“ გერმანელ ფაშისტებთან. „პტი პარიზიენი“ აღნიშნავს, რომ საფრანგეთში არსებობს დაახლოებით 200 ფარული რადიოგადამცემი, რომელთაგან ბევრი მოთავსებულია დიდი აეროდრომებისა და ყაზარმების მახლობლად. ნავსადგურებში და საზღვრის ზოლში.

გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრმა დორმუამ მოხსენება გაუკეთა მთავრობის მეთაურს შოტანს ფაშისტური შეთქმულების კვლევა-ძიების მსვლელობის შესახებ. პრესის წარმომადგენლისათვის გაკეთებულ განცხადებაში დორმუამ აღნიშნა, რომ შეთქმულების საქმეს „ყოველ წუთს უფრო-და-უფრო ფართო გაქანება და მეტი სერიოზულობა ეძლევა“. შინაგან საქმეთა სამინისტროს და პოლიტიკური პოლიციის შენობებს, როგორც „ჟურნალი“ იუწყება, სამხედრო პატრულები იცავენ და საღამოთი არავის შეუძლია იქ შესვლა, თუ სპეციალური საშვები არ ექნება.

ფაშისტების იარაღის ახალი საწყობები

პარიზი, 19 ნოემბერი (საკდესი). საფრანგეთში რესპუბლიკური რეჟიმის წინააღმდეგ ფაშისტთა შეთქმულების გამომჟღავნებასთან დაკავშირებით გრძელდება კვლევა-ძიება.

პოულობენ ფაშისტების მიერ დამზადებული იარაღის ახალ-ახალ საწყობებს. კერძოდ პარიზში ერთ-ერთ ანტიკვარულ მაღაზიაში აღმოაჩინეს მთელი არსენალი: იპოვნეს გერმანიის წარმოების 45 მსუბუქი ტყვიამფრქვევი, 134 შაშხანა, 20 ათასი ვაზნა, სანადირო თოფები და სხვა.



კაგანოვიჩის სახელობის თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრმა თავისი ნორჩი მაყურებლების მომსახურებისათვის შეიძინა ახალი ავტობუსი.

სურათზე: „მკერავი“ № 7-ის საბავშვო კერის ბავშვები ახალი ავტობუსით მიდიან თეატრში.

ფოტო კვირიკაშვილისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

მეხანძრეთა მანევრები

„მტრის“ ესკადრილია თბილისს უახლოვდებოდა. სათანადო ადგილებზე მდგომმა მეთვალყურეებმა ეს ამბავი მყისვე აფრინეს დედაქალაქში და გაისმა განგაშის ხმა. სავლე-ქიმიური თავდაცვის რაზმები შეგროვდნენ, სადეგაზაციო გუნდებმა წინასწარ შერჩეულ ადგილებზე მოიყარეს თავი, ხანძრის მქრობმა რაზმებმა გაფრთხილება მიიღეს.

შემოდგომის წვიმა მოსაწყენად სცრის და ასველებს ქუჩებში მოფენილ, ხეებიდან დაცვენილ გაყვითლებულ ფოთლებს. ნაცრისფერი ნისლი ჰფარავს ქალაქის პეიზაჟს. „მტრისთვის“ ასეთი ამინდი ხელსაყრელია. იგი უჩინრად შემოიპარება ქალაქის ფარგლებში და მისთვის იმრიგად საშიში არ იქნება საზენიტო ქვემეხთა გამანადგურებელი ცეცხლი.

ერთი საათის შემდეგ ხელახლა გაისმა განგაშის ხმა და მოვიდა ცნობა, რომ წისქვილ-კომბინატში ხანძარი გაჩნდა. ხანძრის მქრობელი რაზმები დაიძრნენ ქალაქის ყველა კუთხიდან. რამდენიმე წუთის შემდეგ წისქვილ-კომბინატის ალაყაფის კარს მიადგა ხანძრის მქრობელთა ცენტრალური რაზმის სამი გუნდი. კომბინატელ მეხანძრეებს უკვე დაეწყოთ ცეცხლთან ბრძოლა, მაგრამ „უბედურება“ ის იყო, რომ „მტერს“ ხანძრის გამომწვევი ყუმბარის გარდა, ქიმიური ყუმბარაც გადმოუგდია, კომბინატთან მისასვლელი ადგილები „მოუწამლავს“. მეხანძრეებმა ავტომობილიდან გადმოსვლაც ვერ მოასწრეს, რომ მოვიდნენ დეგაზატორები და შეუდგნენ „გზის წმენდას“.

ამასობაში კომბინატის ერთერთი საამქრო ცეცხლის ალში გაეხვია.

— ხანძარი ვრცელდება და უახლოვდება .სასილოსო კოშკებს, ტრანსპორტიორს და ელევატორს. მქრობელთა რაზმი № 1 მიდის ელევატორთან, № 2—ტრანსპორტიორს პატრონობს, № 3—სასილოსო კოშკებს იცავს, დანარჩენი მქრობელები დაუყოვნებლივ შეუდგნენ ცეცხლწაკიდებული საამქროს გადარჩენას, —ხანძრის ქრობის უფროსი რადიოთი იძლევა განკარგულებებს. სულ ოთხი საბრძოლო უბანია მოწყობილი. ყველგან პოსტებია და პოსტებზე ტელეფონები აქვთ. რამდენიმე წამში გაიყვანეს მეხანძრე - მეკავშირეებმა ტელეფონის ქსელი და მოაწყეს რადიო-ტრანსლიაცია. სახანძრე შლანგებიდან წყალი ებრძვის ცეცხლს.

— წყალი, მეტი წყალი! მოისმის მოთმოვნილების ხმა ყოველი კუთხიდან.

ამ დროს კომბინატის ტერიტორიის მახლობლად „აფეთქდა“ წყალსადენის მაგისტრალი. წყლის მიწოდება კიდევ უფრო ბრკოლდება. აბა, სასწრაფოდ მეორე მაგისტრალთან! მეხანძრეებმა შლანგები მეორე მაგისტრალს შეუერთეს, მაგრამ წყალი მაინც არ მოდის.

— შეამოწმეთ ხაზები! კვლავ გაისმა ბრძანება რადიოთი.

შტაბში ცნობა მოვიდა: შლანგები გადაჭრილია და წყლის მიწოდება ბრკოლდება. ეს უკვე შინაური „დივერსანტების“ საქმე იყო. ამ დროს ავტომობილი მიადგა საწყობს და დაიწყო ფქვილით სავსე ტომრების გადმოტანა.

— ვინ ხარ, სად მიგაქვს ფქვილი?

— უნდა გადავარჩინოთ, განკარგულება მაქვს.

შოფერს გაუშინჯეს დოკუმენტები და იგი „უკონტროლო“ ელემენტი აღმოჩნდა. „დააპატიმრეს“.

ხანძარი ძლიერდება. გამოიწვიეს დამხმარე რაზმები თავდაცვის სახალხო კომისარიატის იმ ორგანიზაციებიდან, რომლებიც თბილისის გარნიზონის ფარგლებში იმყოფებიან. ხანძრის მქრობელთა რაზმები მოდიან ყოველი მხრიდან. მოვიდა რკინიგზელ მეხანძრეთა სპეციალური მატარებელიც.

— ხანძარი პურის ქარხანაში გადადის! შტაბმა წამსვე გასცა განკარგულება ამ ობიექტის ხანძრისაგან დასაცავად. „ცეცხლწაკიდებულ“ საამქროში ხანძართან ბრძოლის დროს კედელი „ჩაინგრა“ და 8 კაცი დაშავდა. სანიტართა ბრიგადა წამსვე იქ გაჩნდა და „დაჭრილნი“ სანიტარული დახმარების პუნქტზე მიიყვანეს. ხელახლა გაისმა დიდი აფეთქების ხმა.

3 საათის ბრძოლის შემდეგ ხანძარი ჩააქრეს. წისქვილ-კომბინატი „განადგურებას“ გადაარჩინეს.

ეს ამბავი მოხდა 19 ნოემბერს წისქვილ-კომბინატში. აქ დანიშნული იყო ხანძრის მქრობელთა რაზმების გაერთიანებული სწავლება, რათა შეემოწმებინათ როგორც მეთაურთა შემადგენლობის უნარი რთულ პირობებში ხანძრისქრობის საქმის ხელმძღვანელობისა, ისე გამოერკვიათ მქრობელთა რაზმების ტექნიკური მზადყოფნის დონე. სწავლებაში 200-ზე მეტმა მეხანძრემ მიიღო მონაწილეობა.

მანდარინის დამზადება

წელს აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებმა, აგრეთვე მახარაძის, ლანჩხუთის, ზუგდიდის, ფოთის, ცხაკაიას და ჩოხატაურის რაიონებმა გეგმის მიხედვით სახელმწიფოს უნდა ჩააბარონ 280 მილიონი ცალი მანდარინი. სუბტროპიკული რაიონების მშრომელნი მარტო მანდარინის საფასურად მიიღებენ 30 მილიონ მანეთზე მეტს.

ნაყოფის სანიმუშოდ შერჩევა, დაუზიანებლად მოკრეფა, დახარისხება, საუკეთესოდ შეფუთვა და დანიშნულებისამებრ სწრაფად გაგზავნა —აი გადაუდებელი ამოცანა, რასაც ახლა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

19 ნოემბრის ნაკრები ცნობებით, ამ რიცხვისათვის რესპუბლიკური გეგმა მხოლოდ 53,2 პროცენტით იყო შესრულებული. მანდარინის ნაყოფი მასობრივად არის შემოსული. ცხაკაიას რაიონმა კრეფის გეგმა 100,1 პროცენტით შეასრულა (მოკრიფა 801.000 ცალი ნაყოფი), ხოლო ამავე დროს ზუგდიდმა გეგმა 75 პროცენტით შეასრულა, ფოთმა მხოლოდ 2,2 პროცენტით, აჭარამ—40,2-ით, აფხაზეთმა—43,6-ით, მახარაძემ—36,9-ით, ლანჩხუთმა 25-ით და ჩოხატაურმა—35,3 პროცენტით.

ძალიან ჩამორჩა ნაყოფის დახარისხება, შეფუთვა და გაგზავნა. 19 ნოემბრისათვის აჭარაში მოკრეფილი იყო 84 მილიონი 360 ათასი ცალი ნაყოფი, მაგრამ აქედან მხოლოდ 31 მილიონი ჰქონდათ გაგზავნილი. ნაყოფის სწრაფად გაგზავნას ჯერ კიდევ არ ექცევა საჭირო ყურადღება.

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ნაყოფის დატვირთვა-გადაზიდვის მხრივ აფხაზეთში (მოკრეფილია 10 მილიონი 902 ათასი ცალი მანდარინი), ზუგდიდში, ფოთსა და ცხაკაიაში (დამახასიათებელია, რომ ის ადგილები (ცნობებსაც არ გზავნიან ნაყოფის დანიშნულებისამებრ გაგზავნის შესახებ).

სუბტროპიკული რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მოვალეობაა—ახლავე მიიღონ გადამჭრელი ზომები მანდარინის დროულად მოკრეფისა და დამზადება-გაგზავნის უზრუნველსაყოფად.

შემთხვევები

— **დაჭრა** 18 ნოემბერს, დღისით, თოდრიას ქუჩაზე მ. ო. არუთინოვმა (სიონის შეს. № 2) ჩხუბის დროს დანით დასჭრა მოქ. ა. ა. ხაჩატუროვი (სიონის შეს. № 15). არუთინოვი დაპატიმრებულია. გამოძიება სწარმოებს.

ბიბლიოგრაფია

ირაკლი აბაშიძე — „ლექსები“

1937 წ. „ფედერაცია“.

ი. აბაშიძე შემოქმედების ასპარეზზე გამოსვლისთანავე იპყრობს მკითხველის ყურადღებას თავისი ლარიზმით.

პირველ ხანებში მის ლექსებს ახასიათებდა თემების სიღარიბე. მიუხედავად ამისა, მთელი რიგი ლექსება მთლიანად შეეფერებოდნენ ჩვენი ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის წინსვლას.

ი. აბაშიძის ახლად გამოცემული ლექსთა კრებული, რომელიც სამი უკანასკნელი წლის ნამუშევარს შეიცავს, უდავოდ ლაპარაკობს პოეტის სერიოზულ ზრდაზე. მის ლექსებს ახასიათებს სიძახვილე და ლარიზმი.

კრებულში მოთავსებული ლექსებიდან განსაკუთრებული ლირიკული განცდითა და იდეურ-მხატვრული ღირსებით გამოირჩევა ლექსება: „ზღვა“, „გმირები“, „სერგეი კიროვი“, „ყვავილები ქალაქში“, „ბარათი ესპანეთის მებრძოლთ“ და „ოდიშის პლანტაციები“.

ლექსი „გმარები“ ჩვენი სოციალისტური ყოფის აღმსახველია. პოეტი მოუწოდებს ყველას გმირობისაკენ, თავდადებულ ბრძოლისაკენ და სიძნელეების ბოლშევიკური გადალახვისაკენ.

„ნუ გაექცევი დაბრკოლებას
მაჰყევ, ედავე
სამხელ მოვიოო —
მდევკაცურად დაჰკარ სახელვე“.

პოეტი აღფრთოვანებით ადიდებს დიდ ბელადს, რომელმაც ხალხის საუკუნოებრივი ოცნება სინამდვილედ აქცია.

„იმ კაცს დიდება —
ვინც სამშობლოს გულში ფარულო
რახნის იმედი ამღერა,
ალალადა,
იმ კაცს დიდება —
ვინაც შრომა უსახარულო
ბედნიერების და გმირობის
საქმედ გახადა“.

ლექსი „სერგეი კიროვი“, რომელიც დაწერილია დიდი ბელადის სტალინის საუკეთესო თანამებრძოლის — სერგეი კიროვის დასაფლავებასთან დაკავშირებით, მკითხველში იწვევს უდიდეს სიყვარულს ბელადისა და მისი საუკეთესო თანამებრძოლისადმი, ხოლო ზიზღს ფაშისტ შაოაგზის ყაჩაღებისადმი, რომლებმაც ვერაგულად მოჰკლეს რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნი.

პოეტს ღრმად სწამს, რომ დიდი კიროვის სახელი მუდამ იცოცხლებს მშრომელი ხალხის გულში:

„ისევ ცოცხალი,
მხიარული, განუგმირავი,
დიდ ლენინგრადას
ალტაცებას ისევ მოიტანს,
დედა ქალაქში
ესალმება ზეიმს კიროვი
და გადასცქერის
გახარებულ წითელ მოედანს“.

„ბარათი ესპანეთის მებრძოლთ“ დაწერილია ესპანეთის მებრძოლებისადმი უდიდესი სიყვარულის გრძნობით. ამ ლექსში ხაჩვენებია ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობა და ის თავგანწირული ბრძოლა, რომელსაც აწარმოებს ესპანეთის გმირი ხალხი სისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ.

პოეტი გადაჭრით ამბობს, რომ ვერასდროს ვერ ეღირსება ფაშიზმს გმირი ესპანელი ხალხის დამონება:

„როგორ? ჯალათის ბინძურ ხელებით
დაჰკლან, აჰყარონ ხალხი ხიზნებად?
უნდა აღმართონ სახრჩობელები?
ეს მათ არასდროს არ ეღირსებათ“.

დიდი პათოსით არის დაწერილი ლექსი „შეიქმენ გმარი“. პოეტს დიდად ახარებს პლანტაციებით აყვავებული სოფელი, რომელიც აზრდება და წინ მიიწევს ინდუსტრიულ ქალაქთან ერთად.

მისი ლექსი „ოდიშის პლანტაციები“ ამ სიხარულის მაჩვენებელია. პოეტი აღფრთოვანებულია, რომ ოდიში და საძურზაყანოში გაშენებულია:

„აღმოსავლეთის უცხო მცენარე
ჩაის ცხოველი პლანტაციები“.

ი. აბაშიძის ზოგიერთ ლექსს აკლია სისადავე, მაშინ, როდესაც პოეტს ბევრი ემოციური მარაგი აქვს და შეუძლია ლექსს უფრო მხატვრულ ფორმაში მოცემა.

ი. აბაშიძის ლექსებს საერთოდ ერთი თვალსაჩინო დადებითი თვისება ახასიათებს: პოეტი გვიჩვენებს სინამდვილის წამყვან საწყისებს და ღრმად სწვდება საბჭოთა ცხოვრების არსებით მხარეებს.

წიგნი კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი და ყდაც შესაფერისი აქვს.

დ. გამეზარდაშვილი

სამგზავრო მატარებლების მიმოსვლის შეცვლა

ამიერ-კავკასიის რკინიგზების სამმართველოს ცნობით, ა. წ. 21 ნოემბერს ღამით დროებით იცვლება სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა: სადგ. თბილისიდან მატარებელი № 42 ბათუმამდე გადის 18 ს. 18 წ., № 44 ბათუმამდე — 22 ს. 34 წ. (გამოსასვლელის წინა დღეს), № 74 ბათუმამდე — 8 ს. 22 წ., № 50 ქუთაისამდე — 0 ს. 10 წ., № 52 ფოთამდე 21ს. 42 წ., № 76 კილასურამდე — 19 ს. 45 წ., № 54 ბორჯომამდე — 6 ს. 18 წ., № 56 ბორჯომამდე — 15 ს. 17წ., № 102 გორამდე — 13 ს. 05 წ. და № 104 კასპამდე — 14 ს. 05 წ.

სადგ. თბილისში მატარებელი № 41 ბათუმიდან მოდის 7 ს. 58 წ., № 43 ბათუმიდან — 10 ს. 15 წ. (ექვსდღიურის 1-ლ დღეს), № 73 ბათუმიდან — 0 ს. 01 წ., № 49 ქუთაისიდან — 4 ს. 42 წ., № 51 ფოთიდან — 9 ს. 04 წ., № 75 კილასურიდან — 12 ს. 57 წ., № 53 ბორჯომიდან — 20 ს. 32 წ., № 55 ბორჯომიდან — 7 ს. 05 წ., № 101 გორიდან — 19 ს. 12 წ. და № 103 კასპიდან — 18 ს. 40 წ.

მატარებლების მოსვლა-გამგზავრება მოსკოვის დროით.

ხოხობზე ნადირობა ნებადართულია

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ნებადართულია ხოხბებზე ნადირობა ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონებში 20 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე.

ამ ხნის განმავლობაში თვითეულ მონადირეს ნება ეძლევა დღეში მოჰკლას არა უმეტეს 5 ხოხბისა, იმ პირობით, რომ 5 მოკლულ ხოხობში ერთის მეტი დედალი ხოხობი არ იქნება.

ვინც მეტი რაოდენობით დახოცავს ხოხბებს, ან ვინც 31 დეკემბრის შემდეგ ინადირებს ხოხბებზე, მიცემული იქნება პასუხისგებაში.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში.

21 ნოემბერს.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „მუშათა კლასისა და გლეხობის მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში“. კონსულტანტები ქართულ ენაზე — ამხ. თოფურია, რუსულ ენაზე — ამხ. კვაჭაძე. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

○

ალკკ კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „ბრძოლა მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნისათვის რუსეთში (პლეხანოვის „შრომის განთავისუფლების ჯგუფის“ დაარსებიდან — 1883 წელს — „ისკრის“ პირველი ნომრების გამოსვლამდე — 1900—1901 წ. წ.). კონსულტანტი რუსულ ენაზე — ამხ. ბულისკერია. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

○

საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკაძის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1532297, გაცემული ამავე რაიკომის მიერ ალექსანდრე შარნაოზის-ძე ცხვედაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგანიზაციის კიროვის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 0772017, გაცემული ეკატერინე ეგორის-ასულ შიხაშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. კიროვის რაიკომის მიერ არმენაკ სააკის-ძე გასპარიანის სახელზე გაცემული პარტბილეთი № 1503370 დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პ.-მგ. რედაქტორის მოვალეობის დრ. აღმსრულებელი

კ. შეროზია

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

21/XI	მუდმ. ადგ. ტალონი № 26 ერთდრ. ბილ. სერია № 5 ესმერალდა
22/XI	მუდმ. ადგ. ტალ. № 27 ერთდრ. ბილეთის სერია № 1 დაისი
23/XI	წარმოდგენა არ არის

დასაწყისი 8 საათზე.

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1937—38 წ. სეზონი

22/XI	წარმოდგენა 35. პრემიერა ნაპერწკლიდან
23/XI	წარმოდგენა 36 ნაპერწკლიდან
24/XI	წარმოდგენა 37. ნაპერწკლიდან

სალარო ღიაა 12 საათიდან.
დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

21/XI წარმ. № 35	სამანიშვილის დედინაცვალი
22/XI წარმ. № 28	ძალაშია 6 ნოემბრის და მუდმივი წარმოდგენა № 28-ს ბილეთები. ნაპერწკლიდან

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 ს. საღ. 9 საათ.

სახცირკი. ტელ. 3-11-44
21 ნოემბერს
ახალი პროგრამა
მე-2 ციკლია
არტ. დაიტონი, არტ. ორლოვები, არტ. კორჟენევსკები, არტ. ლიდინა, აგრეთვე მთელი დასი.
დამსახ. არტ. ძმ. ზანზები
ახალი რეპერტუარით.
დასაწყ. 8 ს. 30 წ. სალარო 12-დან 2 საათამდე და 5 საათიდან.
ამ დღეებში შაფრიკი
24 ნოემბ. წარმ. დღისით დასაწყ. 2 ს.

თელასის დირექცია აცხადებს
საწარმოთა და დაწესებულებათა
საყურადღებოდ.

რომ დაბალი ძაბვის ქსელში მომხდარ დაზიანებათა მიზეზით უკანასკნელთათვის ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში, აღნიშნულ დაზიანებათა სასწრაფოდ შესწორების მიზნით ა. წ. 20 ნოემბრიდან ტრესტ თელასის შენობაში (აკ. წერეთლის ქ. № 6, ტელ. 3-55-65) წესდება პასუხისმგებელი მონტიორის მორიგეობა ღამის 12 საათიდან დილის 7 საათამდე.

1294 თელასის დირექცია.

ა. დ. ქლენზი
შინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭ-ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა-მკურნალობა. მიღება ყოველდღე 7—8 ს. ოთხშაბათობით უფასოდ.
მისამართი: წყნეთის ქ. № 8 17278

მარგო და საშა კოჩლავაშვილები მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი მამის **ივანე კოჩლავაშვილის** გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი დღეს, საღამოს 6 საათზე, როსტოვის ქ. № 17. დაკრძალვა 22 ნოემბერს კუკიის სასაფლაოზე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა „კომუნისტი“
მიიღება ხელისმოწერა 1938 წლისათვის

გაზეთებზე:

„კომუნისტი“
საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის, თბილისის კ-ის და საქ. ცაკის ორგანო.

12 თ.	6 თ.	3 თ.	1 თ.
30 მ.	15 მ.	7 მ. 50 კ.	2 მ. 50 კ.

„პროლეტარი“
(სომხურ ენაზე)
საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და თბ. კ-ის ორგანო.

12 თ.	6 თ.	3 თ.	1 თ.
30 მ.	15 მ.	7 მ. 50 კ.	2 მ. 50 კ.

„ენი-კენდი“
(თურქულ ენაზე)
საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და თბ. კ-ის ორგანო.

12 თ.	6 თ.	3 თ.	1 თ.
30 მ.	15 მ.	7 მ. 50 კ.	2 მ. 50 კ.

„ახალგაზრდა კომუნისტი“
საქ. ალკკ ცენტრალური და თბილისის კომიტეტების ორგანო.

12 თ.	6 თ.	3 თ.	1 თ.
30 მ.	15 მ.	7 მ. 50 კ.	2 მ. 50 კ.

„ნორჩი ლენინელი“
საქ. ალკკ ცენტრ. და თბილისის კომიტეტების ორგანო.

12 თ.	6 თ.	3 თ.	1 თ.
3 მ.	1 მ. 50 კ.	75 კ.	25 კ.

ყოველთვიურ ჟურნალებზე:

„ბოლშევიკი“
საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ორგანო.

12 თ.	6 თ.	3 თ.	1 თ.
6 მ.	3 მ.	1 მ. 50 კ.	50 კ.

„ახალგაზრდა ბოლშევიკი“
საქ. ალკკ ც. კ-ის და თბ. კომიტეტის ორგანო.

12 თ.	6 თ.	3 თ.	1 თ.
6 მ.	3 მ.	1 მ. 50 კ.	50 კ.

„მშრომელი ქალი“
საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ორგანო.

12 თ.	6 თ.	3 თ.	1 თ.
4 მ. 80 კ.	2 მ. 40 კ.	1 მ. 20 კ.	40 კ.

„პიონერი“
საქ. ალკკ ც. კ-ის და საქ. განსახკომის ორგანო.

12 თ.	6 თ.	3 თ.	1 თ.
6 მ.	3 მ.	1 მ. 50 კ.	50 კ.

„ოქტომბრელი“
საქ. ალკკ ც. კ-ის და განსახკომის ორგანო.

12 თ.	6 თ.	3 თ.	1 თ.
6 მ.	3 მ.	1 მ. 50 კ.	50 კ.

„კარმირ ծաղիկ“
(სომხურ ენაზე)
საქ. ალკკ. ც. კ-ის და საქ. განსახკომის ორგანო.

12 თ.	6 თ.	3 თ.	1 თ.
6 მ.	3 მ.	1 მ. 50 კ.	50 კ.

ხელმოწერა უნდა ჩაბარდეს „სოიუზპეჩატს“, ფოსტას, წერილდამტარებლებს, ხელმოწერის შემკრებთ საწარმოებსა და დაწესებულებებში, პოლიტგანყოფილებათა გაზეთების გამომცემლობებს ტრანსპორტზე. ხელმოწერის ქვითრებსა და ფურცლებში შეამოწმეთ, სწორად და ზუსტად არის თუ არა აღნიშნული მისამართი, გვარი ინიციალებით და ხელმოწერის ვადები.

„ენი-კიუჯ“
(თურქულ ენაზე)
საქ. ალკკ ც. კ-ის და საქ. განსახკომის ორგანო.

12 თ.	6 თ.	3 თ.	1 თ.
6 მ.	3 მ.	1 მ. 50 კ.	50 კ.

ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა ჩააბარეთ თავის დროზე, ნუ გადასდებთ უკანასკნელი დღეებისათვის.

ხელმოწერის ჩაბარების უკანასკნელი ვადაა თბილისისათვის 27 რიცხვამდე ჩათვლით.

პროვინციაში—ადგილებზე დაწესებულ ვადებში.

მისამართი: რედაქციის—თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34. ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 63. მთავლიტის რწმუნებული ბ—8995